



CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION



სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვის პოტენციალის კვლევა ფშავში, ხევსურეთსა და გუდამაყარში

კვლევის ანგარიში

People in Need / ააიპ „ფიფლ ინ ნიდ“



პუბლიკაცია შექმნილია ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია არაგვის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ჩეხეთის განვითარების სააგენტოს შეხედულებებს.

ოქტომბერი - 2019

სარჩევი

სარჩევი	2
შესავალი	4
ძირითადი მიგნებები	4
<i>მეცხოველეობა</i>	4
<i>მეფუტკრეობა</i>	5
<i>მეთევზეობა</i>	5
მეთოდოლოგია	6
ფშავი, ხევსურეთი და გუდამაყარი - ზოგადი მონაცემები	7
ინდივიდუალური ინტერვიუების შედეგად მიღებული მონაცემები	9
<i>ინფორმაცია გამოკითხულთა შესახებ</i>	9
<i>გამოკითხულთა ხელმისაწვდომობა ძირითად საწარმოო საშუალებებსა და რესურსებზე</i>	13
<i>სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა</i>	14
<i>სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი</i>	14
<i>დამხმარე ნაგებობა</i>	14
<i>გამოკითხულთა არსებული მდგომარეობა მეცხოველეობის დარგში</i>	15
<i>საწარმოო საშუალებები სამიზნე არეალში</i>	19
<i>გაყიდვების სტრუქტურა სამიზნე არეალში</i>	21
<i>მიზნობრივი არეალის სოციალური საკითხები</i>	24
ფშავში, ხევსურეთსა და გუდამაყარში არსებული მდგომარეობისა და ძირითადი პრობლემების მიმოხილვა	26
<i>გუდამაყარი</i>	26
<i>ხევსურეთი</i>	27
<i>ფშავი</i>	28
ორგანული სოფლის მეურნეობის პოტენციური სამიზნე რეგიონში	29
ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების პოტენციალის SWOT ანალიზი	30
მესაქონლეობის საწარმოო ჯაჭვის ანალიზი	31
<i>ზოგადი მიმოხილვა</i>	31
<i>გარემო პირობები</i>	31
<i>ჯიშები და მათი გაუმჯობესება</i>	32
<i>პირუტყვის კვება</i>	33

დაავადებები.....	33
ვეტერინარია/კონსულტაციები	34
პროდუქტიულობა	34
რძის პროდუქტების წარმოება.....	35
პროდუქციის ფასები	36
კონკურენცია.....	36
მეცხვარეობის საწარმოო ჯაჭვის ანალიზი.....	37
მატყლის წარმოება.....	37
რძის წარმოება.....	38
მეფუტკრეობის საწარმოო ჯაჭვის ანალიზი	38
პროდუქტიულობა.....	38
პროდუქციის ფასები	38
წარმოებისათვის საჭირო რესურსები.....	39
კონკურენცია.....	39
მეთევზეობის საწარმოო ჯაჭვის ანალიზი	39
პროდუქტიულობა.....	40
პროდუქციის ფასები	40
წარმოებისათვის საჭირო რესურსები.....	40
რეკომენდაციები.....	41
გუდამაყარი.....	41
ხევისურეთი	42
ფშავი.....	43
დამატებითი რეკომენდაციები.....	45
დანართები.....	46
დანართი 1. კითხვარი.....	46
დანართი 2. გამოკითხულთა სია.....	52
დანართი 3. გუდამაყრის სოფლების შესახებ ინფორმაცია.....	57
დანართი 4. უკანა ფშავისა და მალაროსკარის თემების სოფლები და მოსახლეობა.....	59
დანართი 5. ხევისურეთის სოფლების შესახებ ინფორმაცია.....	61

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანაში“ „ფიფლ ინ ნიდ“-ის დაკვეთით, პროექტისათვის - „არაგვის დაცული ლანდშაფტისა და მიმდებარე თემების მდგრადი განვითარება“, რომელიც თავის მხრივ 5-წლიანი პროგრამის - „მთის რეგიონების მდგრადი განვითარების“, ფარგლებში ხორციელდება ჩეხეთისა და ავსტრიის განვითარების სააგენტოების ფინანსური მხარდაჭერით. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვის პოტენციალის ანალიზი ფშავში, ხევსურეთსა და გუდამაყარში. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ ექსპერტებმა 2019 წელს, 7 ოქტომბრიდან 25 დეკემბრამდე, ჩაატარეს კვლევა გუდამაყარის (ზანდუკი, გამსი, ჩოხი, კიტოხი), ფშავისა (უძილაურთა, შუაფხო, თხილიანა, ვაკისოფელი, ჭიდალი, ჩარგალი, მადაროსკარი, ქალილო, უკანაფშავი) და ხევსურეთის (წინხაღუ, კორშა, ბარისახო, გუდანი, ჭალისოფელი, ქობულო, ხახმატი, ბისო, დათვისი) სოფლებში, სადაც გამოიკითხა 60 კაცი (იხილეთ დანართი 1). კვლევის მიზანს წარმოადგენდა:

- საწარმოო ჯაჭვის ანალიზი მეცხოველეობაში (მერძეული და მეხორცეული), მეფუტკრეობასა და მეთევზეობაში;
- ორგანული სოფლის მეურნეობის პოტენციალის შეფასება სამივე სამიზნე მხარეში;
- ინოვაციური მოდელების მოწყობის შესაძლებლობები სამივე სამიზნე მხარეში.

ძირითადი მიგნებები

სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვის პოტენციალის კვლევა ჩატარდა ფშავში, ხევსურეთსა და გუდამაყარში. კვლევა მოიცავდა სამ სექტორს - მეცხოველეობას, მეფუტკრეობასა და მეთევზეობას. ამ თავში მოცემულია კვლევის მიგნებების მოკლე შეჯამება.

მეცხოველეობა

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სამიზნე რეგიონში მეცხოველეობა ერთ-ერთი წამყვანი დარგია, რომლის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორებია:

- დეგრადირებული პირუტყვი(მერძეული);
- საძოვრების, სათიბების არასწორი მართვა და საჭირო ტექნიკის უქონლობა, არასრულფასოვანი კვება;
- დარგობრივი ცოდნის დეფიციტი;
- პროდუქტების არაორგანიზებული წარმოება;
- თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმიუწვდომლობა.

აქედან გამომდინარე მეცხოველეობის დარგის განსავითარებლად საჭიროა:

- ✓ თივის წარმოებისათვის მცირე მექანიზაციის (სათიბელა მოტობლოკები) გამოყენების პრაქტიკის დანერგვა;
- ✓ ხარისხიანი თივის წარმოების პრაქტიკის დანერგვა, რაც გულისხმობს თივის დამზადებას კონკრეტულ ვადებში და მის სწორ შენახვას;
- ✓ სადემონსტრაციო ფერმის მოწყობა, რომელიც სრულად იქნება ადჰურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით, როგორცაა: საწველი აპარატი, სარწყურებლები, ხელოვნური განაყოფიერების დანერგვა ჯიშთა გაუმჯობესებისთვის, საკვები რაციონის გამრავალფეროვნება.
- ✓ წარმატებული მაგალითების ჩვენება;
- ✓ მცირე გადასამუშავებელი საწარმოების შექმნა.

მეფუტკრეობა

ხელსაყრელი ბუნებრივი და კლიმატური პირობების გამო მეფუტკრეობა რეგიონში ერთ-ერთი შემოსავლიანი დარგია. მიუხედავად ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ დარგში არსებობს შემდეგი პრობლემები:

- მოძველებული სკები და ინვენტარი;
- თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმიუწვდომლობა;
- დაბალპროდუქტიული და დეგრადირებული ფუტკრის ოჯახები;
- არასწორი მკურნალობა;
- გადასამუშავებელი საწარმოების არარსებობა;
- დარგობრივი ცოდნის დეფიციტი.

ზემოაღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, დარგის განსავითარებლად საჭიროა:

- ✓ დარგობრივი ტრენინგები;
- ✓ თანამედროვე სკებისა და ინვენტარის შეძენა;
- ✓ წარმატებული მაგალითების ჩვენება;
- ✓ მცირე გადასამუშავებელი საწარმოების შექმნა;
- ✓ სადემონსტრაციო საფუტკრისა და საწარმოს მოწყობა;

მეთევზეობა

რეგიონში მეთევზეობა არაა განვითარებული. დარგის განვითარების ხელშემშლელი მიზეზებია:

- დარგობრივი ცოდნის დეფიციტი;
- ფინანსებზე ხელმიუწვდომლობა;
- არაორგანიზებული წარმოება.

მეთევზეობის დარგის განსავითარებლად საჭიროა:

- ✓ დარგობრივი ტრენინგები;
- ✓ სადემონსტრაციო მოდელის მოწყობა;

- ✓ წარმატებული მაგალითების ჩვენება;
- ✓ საპროექტო განაცხადების მომზადებაში ხელშეწყობა.

მეთოდოლოგია

ასოციაცია „ელკანამ“ კვლევის განსახორციელებლად გამოიყენა „საჭიროებების სწრაფი შეფასების“ (RRA) მეთოდი. „საჭიროებების სწრაფი შეფასება“ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მეთოდების ნაკრები, რომელიც დროის მცირე მონაკვეთში ზუსტი და სანდო ინფორმაციის მიღებისა და გაანალიზების საშუალებას იძლევა. სამიზნე სოფლებში არსებული მდგომარეობის შეფასებისა და ანალიზისთვის ინტერვიუებმა გამოიყენეს ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუს მეთოდი.

ინტერვიუები ჩატარდა იმ პირებთან, რომლებიც გამოსაკვლევ საკითხთან დაკავშირებით უშუალოდ ფლობდნენ ინფორმაციასა და ცოდნას. თითოეული ინტერვიუს ხანგრძლივობა იყო 1-2 საათი. რესპონდენტთა მრავალფეროვნება მნიშვნელოვანი იყო, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ღირებულებათა მთლიანი ჯაჭვის ყველა კომპონენტის ანალიზი.

კვლევის სამიზნე ჯგუფები იყო:

- ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები;
- ფერმერები;
- მეწარმეები;
- სასტუმრო სახლების მეპატრონეები.

სამუშაო პროცესი რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა:

სამუშაო ჯგუფის შექმნა - ჯგუფში შედიან ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ თანამშრომლები: თამაზ დუნდუა - ჯგუფის ხელმძღვანელი, თამარ ნონიაშვილი, დავით დოლიძე, ვახტანგ ლლონი, მარიამ ტომარაძე, ირაკლი ჯავახიშვილი, მანანა გიგაური.

კითხვარის მომზადება - სამუშაო ჯგუფმა მოამზადა კითხვარი (იხილეთ დანართი 1) ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუების ჩასატარებლად. კითხვარი შემუშავდა კონტრაქტორის მიერ მოწოდებულ ტექნიკური დავალების საფუძველზე.

საველე სამუშაოები - 7-12 ოქტომბერს სამუშაო ჯგუფმა სამიზნე არეალში ჩატარა ინდივიდუალური გამოკითხვები. ადგილობრივი მოსახლეობის მობილიზება უზრუნველყვეს პინ-ის ადგილობრივმა კოორდინატორებმა, რომლებმაც წინასწარ მიზნობრივად შეარჩიეს საწარმოო ჯაჭვში ჩართული სხვადასხვა რგოლის წარმომადგენლები და მოიწვიეს შეხვედრაზე. შეხვედრები ჩატარდა შემდეგ სოფლებში: გუდამაყარი - კიტოხი, ხევსურეთი - ბარისახო, ფშავი - შუაფხო; ხოლო გამოკითხულთა ნაწილის ინტერვიუები ჩატარა სამუშაო ჯგუფმა - სოფლებში გასვლებით შემთხვევით შერჩეულ პირებთან და „ელკანას“ ბენეფიციარებთან, რომლებსაც ჯგუფი წინასწარი დაუკავშირდა და შეუთანხმდა ინტერვიუზე. ამ პრინციპით ინტერვიუები ჩატარდა შემდეგ სოფლებში: ხახმატი, გუდანი, კორმა, შუაფხო, უკანაფშავი, ჩარგალი. ინტერვიუები ჩატარდა საწარმოო ჯაჭვის სხვადასხვა

რგოლის წარმომადგენლებთან; რამაც საშუალება მოგვცა კველვის შედეგად მაქსიმალურად საჭირო ინფორმაცია მიგვეღო.

დარგები	გამოკითხულთა რაოდენობა		
	გუდამაყარი	ხევსურეთი	ფშავი
მერძეული მესაქონლეობა	6	15	15
მეხორცული მესაქონლეობა	4	8	9
მეცხვარეობა	3	0	2
მეფუტკრეობა	1	9	23
მეთევზეობა ¹	0	0	0

ინფორმაციის დამუშავება და ანგარიშის მომზადება - სავსე სამუშაოების დასრულების შემდეგ დამუსავდა და გაანალიზდა მიღებული ინფორმაცია. ანალიზის პროცესში სამუშაო ჯგუფმა გამოიყენა სოფლის მეურნეობის რეგიონული საკონსულტაციო სამსახურის და საქსტატის სტატისტიკური მონაცემები, ISET-ის მიერ მომზადებულ „ქართული ცხვრის სექტორის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი“, ბროშურა „ძროხის მოშენების, კვებისა და მოვლა-შენახვის ზოგიერთი საკითხი“ და დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის „დამბალხაჭოს“ სპეციფიკაცია.

ფშავი, ხევსურეთი და გუდამაყარი - ზოგადი მონაცემები

გუდამაყარი - აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა. ადმინისტრაციულად შედის დუშეთის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში. ხეობა მდებარეობს ზღვის დონიდან 1050 მ-დან 2300 მ-მდე, მოიცავს 29 სოფელს (9 ნასოფლარს), სადაც 234 კაცი ცხოვრობს (იხილეთ დანართი 2).

ხევსურეთი - საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა. ადმინისტრაციულად შედის დუშეთის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში. მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთებზე და უჭირავს დაახლოებით 1050 კმ² ფართობი.

კავკასიონის ქედი ხევსურეთს ორ ნაწილად ყოფს: ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე, ანუ პირიქითა ხევსურეთი და, სამხრეთ-დასავლეთის მხარე, ანუ პირაქეთა ხევსურეთი.

¹ გამოკითხულთა შორის უშუალოდ მეთევზეობას ამჟავად არვინ მისდევს (ერთს შეუწყვეტია საქმიანობა ცოდნის ნაკლებობის გამო), თუმცა ამ მიმართულების განვითარების მიმართ ინტერესი იყო გამოკითხულთა შორის.

პირიქითა ხევსურეთი შედგება: მიღმახევის, შატილის და არხოტის ხეობებისაგან, პირაქეთი - არაგვის ხეობისაგან.

ხევსურეთის მთელი ტერიტორია ორ თემადაა გაყოფილი: ხევსურეთის (ცენტრი — ბარისახო) და შატილის (ცენტრი - შატილი). კვლევის სამიზნე თემს წარმოადგენდა ბარისახო, სადაც 38 სოფელია, მოსახლეობის რაოდენობა - 526 კაცი, 167 კომლი (იხილეთ დანართი 3).

ფშავი - საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა. ადმინისტრაციულად შედის დუშეთის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში. არაგვის ხეობაში მდებარეობს და დღევანდელ დუშეთის რაიონს მოიცავს. მისი ფართობი დაახლოებით 550 კმ²-ია. ფშავს ესაზღვრება: ჩრდილო-აღმოსავლეთით - კავკასიონის მთავარი ქედი, რომელიც მას ჰყოფს თუშეთისა და პირაქეთა ხევსურეთისაგან, დასავლეთით - პირაქეთა ხევსურეთი, გუდამაყარი, ხანდო და ჭართალი, სამხრეთით - შიდა ქართლი, აღმოსავლეთით - ერწო-თიანეთი. ფშავი ორად იყოფა: ფშავის არაგვის სათავიდან ორწყლამდე უკანა ფშავის თემია, ხოლო ორწყალს ქვემოთ, ფშავის არაგვის ქვემო წელში, მალაროსკარის. სიმაღლე ზღვის დონიდან 1000-3000 მ-ია. ფშავის 24 სოფელში 618 კაცი ცხოვრობს (იხილეთ დანართი 4).

ინდივიდუალური ინტერვიუების შედეგად მიღებული მონაცემები



წინამდებარე თავში განხილულია ინდივიდუალური ინტერვიუების შედეგად მიღებული მონაცემები, რომლებიც ასახავს: გენდერულ ბალანსს, ასაკობრივ შემადგენლობას, ოჯახების შემადგენლობას; განათლების ხარისხს; შემოსავლის წყაროებს და ოდენობებს და მფლობელობაში/საკუთრებაში არსებულ ძირითადი საშუალებების და საწარმოო რესურსების განაწილებას და მათი გამოყენებით მიღებული შემოსავლების ოდენობებს.

მიღებული მონაცემები ასევე ასახავს გამოკითხულთა მიერ დაფიქსირებულ აზრს იმის თაობაზე, თუ რა ძირითადი ხელისშემშლელი და ხელის შეშფოები ფაქტორებია მიზნობრივ არეალში სამეურნეო საქმიანობის წარმოება/განვითარებისათვის და ასევე იმას, თუ რა კავშირებია დღეს ადგილობრივ მოსახლეობასა და არსებულ ბიზნესებს შორის.

ინფორმაცია გამოკითხულთა შესახებ



გუდამაყარში, ფშავში და ხევსურეთში ინდივიდუალური ინტერვიუ ჩატარდა 60 წინასწარ შერჩეულ ადგილობრივ მაცხოვრებელს.

როგორც ვხედავთ, გამოკითხულთა დიდი ნაწილი ფშავის მკვიდრია, ხოლო გუდამაყარში ყველაზე ნაკლები ინტერვიუ ჩატარდა. გამოკითხულთა რაოდენობა პირდაპირ პროპორციულია მოსახლეობის რაოდენობასთან.



გამოკითხულთა შორის სჭარბობდნენ მამაკაცები, რაც არ ყოფილა სპეციალური შერჩევის შედეგი. ასევე აღსანიშნავია, რომ როგორც კაცები, ასევე ქალები ინტერვიუს პროცესში პასუხობდნენ ოჯახის და არა პირადად საკუთარი სახელით.


გამოკითხულთა უმრავლესობა - შრომისუნარიანი, აქტიური მოსახლეობა იყვნენ, თუმცა საკმაოდ მაღალია 60 წელს გადაცილებული მოსახლეობის რაოდენობაც - 25%. მცირეა შუახნის, საპენსიო ასაკის და ახალგაზრდების წილი - შესაბამისად 13.33% და 8.33%.



გამოკითხულთა უმრავლესობა - სამიზნე მხარეების მუდმივ მაცხოვრებელს წარმოადგენდა - 81.67 (კითხვას პასუხი 58 რესპონდენტმა გასცა). აქვე აღსანიშნავია ერთი ფაქტიც: მიუხედავად იმისა, რომ 9 რესპონდენტმა განაცხადა, რომ სეზონურად ჩამოდივართ მიზნობრივ მხარეში, სამეურნეო საკითხებზე პასუხის გაცემის დროს, მათ დააფიქსირეს, რომ მოეპოვებათ საწარმოო საშუალებები და სწორედ ამ საწარმოო საშუალებებით იღებენ შემოსავლებს. პასუხი გამოწვეული იყო იმით, რომ ამ კითხვაზე მათ პასუხი პირადად გასცეს, ხოლო ინტერვიუს


მსვლელობისას აფიქსირებდნენ ინფორმაციას ოჯახის სახელით.

გამოკითხულთა ოჯახების შემადგენლობის შესწავლამ დაგვანახა, რომ რეგიონის მკვიდრ მცხოვრებლებს შორის 3-4-წევრიანი ოჯახების რაოდენობა სჭარბობს (60%). მრავლადაა ოჯახები, რომლებშიც 4 კაცზე მეტი წევრიც არის და ასეთი ოჯახების დიდი ნაწილი 2 და მეტი თაობის წევრებისაგან შედგება (26,67%). გამოკითხვამ ასევე 1-2-წევრიანი ოჯახებიც გამოავლინა.



აღსანიშნავია, რომ მცირე ოჯახების შემადგენლობა ძირითადად მოხუცებით, და საშუალო ასაკის წევრებით არის წარმოდგენილი და გამოკითხულთა შორის არც ერთი ახალგაზრდა და უფროსი თაობისაგან განცალკევებით მცხოვრები ოჯახი არ იყო. ასევე აღსანიშნავია, რომ ასეთი მცირერიცხოვანი ოჯახების რაოდენობა მცირეა და 10%-ს შეადგენს.

გამოკითხულთა ოჯახების წევრთა საერთო რაოდენობა - 234 კაცს აღწევს.





აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ოჯახების შემადგენლობაში ძალიან მცირეა 18 წლამდე ახალგაზრდების რაოდენობა და ძირითადად ოჯახები 30 წელს ზემოთ ასაკის ხალხით არის წარმოდგენილი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ რეგიონში სხვადასხვა მიზეზების გამო (სოციალური მდგომარეობა, სამუშაო ადგილების სიმცირე, მიგრაცია და სხვა) კრიტიკულად დაბალია შობადობის მაჩვენებელი.

კითხვაზე განათლების შესახებ, ინტერვიუებმა ინფორმაცია მოგვაწოდეს, როგორც საკუთარი, ასევე

ოჯახის წევრების განათლებაზე. ამ ინფორმაციის შედეგად გამოვლინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა შორის ძირითადად სრულწლოვანები იყვნენ, მოსახლეობის დიდი ნაწილი საშუალო განათლებისაა (38,46%). საშუალო სპეციალური განათლებაც მოსახლეობის ძალზე მცირე ნაწილს აქვს - სულ 8,97%-ს. უმაღლესი განათლება მოსახლეობის 29,91%-ს აქვს.

გამოკითხულთა მონაცემების შედეგად საკმაოდ მძიმე საშუალო სოციალური ფონი გამოვლინდა: გამოკითხულთა შორის სოციალურ დახმარებას კომლთა 28,33%, ხოლო პენსიას კომლთა - 25% იღებს. ჯამურად ეს 53,33%-ს შეადგენს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.






კვლევამ დაგვანახა, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა შემოსავლების ყველაზე დიდი წილი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან (37,92%) ან საჯარო სამსახურიდან (ადგილობრივი ხელისუფლება - 5 კაცი, 13 წარმომადგენელი - სკოლა, ბაღი, სასაზღვრო პოლიცია) მიღებულ ანაზღაურებაზე (30,26%) მოდის. შემოსავლების ჯამი გზავნილებიდან, პენსიიდან და სოციალური დახმარებიდან 19,64%-ს შეადგენს, რაც ასევე

საკმაოდ დიდი წილია მოსახლეობის ბიუჯეტში. მთლიანად ეს შემოსავლები შეადგენს 87,82%-ს. სამწუხაროდ, ბიზნესიდან მიღებული შემოსავლების წილი გამოკითხულ რესპონდენტთა შემოსავლებში - მხოლოდ 6,93%-ს შეადგენს.


სამიზნე მხარეებში გამოკითხული ოჯახების მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიუთითებს ერთ კომლზე წელიწადში მიღებული შემოსავლის მაჩვენებლებიც: გამოკითხული ოჯახების 30.00%-ის შემოსავლები - საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთაა, ხოლო რესპონდენტთა 48,33% სიღარიბეში ცხოვრობს, რაც ჯამურად გამოკითხულთა 78,33%-ს შეადგენს. მხოლოდ რესპონდენტთა 18,33% წარმოადგენს საშუალო მცხოვრებელს.



გამოვლენილი შემოსავლების დონე გამოკითხულთა რეინვესტიციის დაბალ შესაძლებლობებზე მიგვითითებს და იმაზე მეტყველებს, რომ მოსახლეობა ძირითადად თვითუზრუნველყოფაზეა ორიენტირებული.

გამოკითხულთა ხელმისაწვდომობა ძირითად საწარმოო საშუალებებსა და რესურსებზე

სახნავ-სათესი




მიწის ნაკვეთი საკუთრებაში აქვს გამოკითხულთა 65%-ს, ხოლო 30%-ს საერთოდ არ აქვს სახნავ-სათესი. ამასთან ერთად, გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობის (65%-ის) მიწის ფართობები მხოლოდ 0,3-0,9 ჰა-ს შეადგენს, რომელზეც როგორც საცხოვრებელი სახლი, ასევე დამხმრე ნაგებობებია განლაგებული. მხოლოდ გამოკითხულთა 20%-ს აქვს 2 ჰა-ზე მეტი მიწის ფართობი (საკარმოდამო ნაკვეთთან ერთად) და მხოლოდ 15%-ს აქვს 10-25 ჰა სახნავ-სათესი. მიღებული

მონაცემებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რო ყველა მიზნობრივ მხარეში სახნავ-სათესი მიწის ფართობების დეფიციტია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მიწის ფართობი იჯარით მხოლოდ გამოკითხულთა 1,67%-ს აქვს აღებული, რაც მოსახლეობის მხრიდან სასოფლო-სამეურნეო წარმოების, როგორც ბიზნესის, მიმართ დაბალ ინტერესზე მეტყველებს.


სათიბ-სამოვარი

საკუთარი სათიბ-სამოვარი მოსახლეობის 63,33%-ს აქვს, ხოლო 31,67%-ს საერთოდ არ აქვს სათიბ-სამოვარი. მოსახლეობის 41%-ს 3 ჰა-მდე სათიბ-სამოვარი აქვს, 16,6%-ს - 3-10 ჰა-მდე, ხოლო მხოლოდ გამოკითხულთა 5% ფლობს საკუთრებაში 10-40 ჰა-მდე სათიბ-სამოვარს.

იჯარით აღებული სათიბ-სამოვრების მქონე რესპონდენტთა დაბალი წილი (1,67%), ასევე სოფლის მეურნეობის, როგორც ბიზნესის სექტორის, განვითარების დაბალ დონეზე მეტყველებს.



სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა




მცირეგაბარიტიანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გამოკითხულთა მხოლოდ 31,67%-ს აქვს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ 68,33% სამეურნეო საქმიანობას ჯერ კიდევ მამაპაპურად - ხელით აწარმოებს. ის, რომ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის იჯარით აღების მაჩვენებელი - 0%-ს შეადგენს, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაბალ აქტივობაზე მეტყველებს.


სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი

გამოკითხულთა 35%-ს მოეპოვება საჭირო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი (მოტობლოკი, ბენზოცელი), რაც ასევე ძალიან დაბალი მაჩვენებელია.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მსგავსად, ინვენტარის უქონლობის პირობებში იჯარის მაჩვენებლის - 0%-ის ტოლობა, ასევე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაბალ აქტივობაზე მეტყველებს.



დამხმარე ნაგებობა




სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის განკუთვნილი დამხმარე ნაგებობები გამოკითხულთა 65%-ს აქვს, მაგრამ ამ ნაგებობების დიდი ნაწილი ამორტიზირებულია და ინვესტირებას საჭიროებს.

დამხმარე ნაგებობის იჯარით აღების მაჩვენებელი - 1,67%-ს შეადგენს, რაც რესპონდენტთა მხრიდან გარკვეულ, მაგრამ ძალიან დაბალ ინტერესზე მიუთითებს.

გამოკითხულთა არსებული მდგომარეობა მეცხოველეობის დარგში

გამოკითხულ რესპოდენტებს ინტერვიუს პროცესში დაესვათ კითხვები მიზნობრივი რეგიონისათვის დამახასიათებელ მეცხოველეობის სექტორში საქმიანობის შესახებ (მერძეული და მეხორცეული მესაქონლეობა, მეცხვარეობა, მეფუტკრეობა და მეთევზეობა), რის შედეგადაც მათ მხრიდან შემდეგი ინფორმაცია მივიღეთ:

მერძეული მესაქონლეობა




კვლევამ უჩვენა, რომ მერძეული საქონელი გამოკითხულთა 60%-ს გააჩნია. აქედან 1-3 სულამდე საქონელი გამოკითხულთა 18,33%-ს ყავს, ხოლო 4-10 სულამდე საქონელი - 31,67%-ს (ჯამში 50%). ეს იმ კატეგორიის ფერმერები არიან, რომლებიც მესაქონლეობიდან მიღებულ შემოსავალს ძირითადად თვითუზრუნველყოფისთვის იყენებენ და ბაზარზე სარეალიზაციო პროდუქცია მხოლოდ იშვიათად, მოჭარბების

შემთხვევაში გააქვთ.


გამოკითხულთა შორის ბაზარზე ორიენტირებულ ფერმერთა რაოდენობა (რომლებიც 11-25 სულ საქონელს ინახავენ) სულ 8,33%-ს შეადგენდა, რაც მათ შორის მესაქონლეობის განვითარების დაბალ დონეზე მიგვითითებს.

მერძეული მესაქონლეობის დაბალ განვითარებაზე მიუთითებს ფერმერთა მიერ რძისა და რძის ნაწარმის რეალიზაციის მაჩვენებლებიც.

მერძეული საქონლის მფლობელ რესპოდენტ ფერმერთა ყველაზე დიდი ნაწილი ოჯახურ პირობებში წარმოებული ყველის რეალიზაციას ეწევა. პარალელურად ისინი ერბოსა და მცირე რაოდენობით ხაჭოს და დამბალხაჭოსაც ყიდიან, მაგრამ სექტორის ძირითადი პროდუქციის - რძის რეალიზაციით მხოლოდ გამოკითხულთა 20%-ია დაკავებული, რაც მერძეული მესაქონლეობით დაკავებულ რესპოდენტთა მხოლოდ 1/3-ს შეადგენს.





სექტორის პრობლემებზე მიუთითებს საშუალო წლიური შემოსავლებიც, რომელსაც კვლევის რესპოდენტები რძისა და რძის პროდუქტების რეალიზაციიდან იღებენ.



გამოკითხულთა მხოლოდ 8,33 % რძისა და რძის პროდუქტების რეალიზაციიდან წელიწადში 3000-10000 ლარ შემოსავალს იღებს, ხოლო 10000-15000 ლარს - მხოლოდ მოსახლეობის 1,67%. ეს მაჩვენებლები მიუთითებს, რომ მესაქონლეობით დაკავებულ რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი მიღებულ პროდუქციას არ ყიდის და ოჯახში მოიხმარს.


მეხორცული მესაქონლეობა

მეხორცული საქონელი გამოკითხულთა მხოლოდ 36,67%-ს ჰყავს. რესპონდენტთა 13,33%-ს მხოლოდ 1-3 სული ჰყავს, ხოლო 15% 4-8 სულ მოზვერს ინახავს. ეს ძირითადად მერძეული საქონლის ნამატია და ამ მაჩვენებლების მეხორცულ სექტორში გათვალისწინება წესით სწორი არ არის. წმინდა მეხორცულ მესაქონლეობას რესპონდენტთა მხოლოდ 8,33% მისდევს, რაც, ამ მხარეების სათიბ-სამოვრების არსებული რესურსების გათვალისწინებით, ძალიან დაბალი მაჩვენებელია და სექტორის დაბალ განვითარებაზე მეტყველებს.




დამატებით ინფორმაციას ამ სექტორის განვითარების დაბალი დონის შესახებ ხორცისა და მოზვერების რეალიზაციის სტატისტიკაც იძლევა. მოზვერებს სულ 6,67% რესპონდენტი ყიდის და, აქედან, 1,67%-ს - ცოცხლად, ხოლო 5%-ს - ნაკლავად ხორცად, რომელსაც, სავარაუდოდ, ისევ ადგილზე მოიხმარს მოსახლეობა. მონაცემებიდან გამომდინარე, რეგიონში მეხორცული საქონლის დიდი დეფიციტი აღინიშნება.

მეხორცული მესაქონლეობიდან 0-1000 ლარს წელიწადში მხოლოდ რესპონდენტთა 1,67% იღებს, 20000-30000 ლარს - მხოლოდ 3,33%. დანარჩენს ან არ გააჩნია მეხორცული საქონელი, ან პირადი მოხმარებისთვის ინახავს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეხორცული მესაქონლეობით რეგიონში რესპონდენტთა მხოლოდ 3,33% არის დაკავებული.



მეცხვარეობა





გამოკითხვის შედეგებმა დაგვანახა, რომ დღეისათვის ცხვარი, გამოკითხულთა მხოლოდ 10%-ს ჰყავს. დიაგრამის მონაცემებიდან ვხედავთ, რომ პროფესიული მეცხვარეობით დაკავებულია მხოლოდ რესპონდენტთა 3,33%.

გამოკითხულთა 86.67%-ს ცხვარი საერთოდ არ ჰყავს და სოფლის მეურნეობის ეს ტრადიციული დარგი პრაქტიკულად მივიწყებულია.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მეცხვარეებმა გაყიდვების საშუალო მონაცემები და საშუალო წლიური შემოსავალი არ დაასახელეს, მიზეზად შეიძლება განვიხილოთ სოციალური დახმარება.

მეფუტკრეობა


მეფუტკრეობა სამივე სამიზნე მხარეში დღეს ერთ-ერთი პოპულარული და განვითარების პოტენციის მქონე სექტორად გადაიქცა. ფუტკრის ოჯახებს უკვე მოსახლეობის 56,67%-ს უვლის. აქედან 10% პროფესიული მეფუტკრეობითაა დაკავებული და ფუტკრის 40-150 ოჯახს ფლობს, 16,67% მზარდი მეფუტკრეები არიან, რომლებსაც უკვე 10-30 ოჯახი ჰყავთ, ხოლო ყველაზე დიდი ნაწილი - 30% - ფუტკრის 1-10 ოჯახის მფლობელია. ისინი ფუტკრის პროდუქტებს მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის იყენებენ.



რესპოდენტი მეფუტკრეები ძირითადად 2 სახეობის პროდუქტს ყიდნიან, ეს არის თაფლი და სანთელი. თაფლს მეფუტკრეთა 48,33%, ხოლო სანთელს - 3,33% ყიდის.


მეფუტკრეები არ აწარმოებენ ისეთ ბაზარზე მოთხოვნად და ძვირადღირებულ პროდუქტებს, როგორცაა ფუტკრის რძე, შხამი და სხვ.

მეფუტკრეობით დაკავებულ რესპოდენტთა შორის შედარებით მაღალი წლიური შემოსავალი აღირიცხება (2000-10000 ლარამდე წელიწადში), თუმცა ეს შემოსავალი მხოლოდ გამოკითხულთა 18,33%-ს აქვს.



საწარმოო საშუალებები სამიზნე არეალში


ამ თავში წარმოდგენილია გამოკითხულ რესპონდენტთა მიერ დაფიქსირებული მოსაზრება სამიზნე არეალში საწარმოო საშუალებების, მომსახურების და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობის შესახებ. ამასთან ერთად აქ ასევე წარმოდგენილია მათი მოსაზრებაც იმ ხელისშემშლელ ფაქტორებთან დაკავშირებით, რომლებიც აფერხებენ მეცხოველეობის განვითარებას.




გამოკითხულ რესპონდენტთა მიერ დაფიქსირდა, რომ მიზნობრივ არეალში დღეს უკვე არსებობს სხვადასხვა ტიპის მომსახურების მიღების შესაძლებლობა, მაგრამ გამოჩნდა ისიც, რომ მათი უმრავლესობა თითქმის არ სარგებლობს არც საკონსულტაციო სამსახურების და არც სასოფლო-სამეურნეო საშუალებების მომწოდებლების მომსახურებით.

გამოკითხულთა აზრით, სამივე სამიზნე მხარის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით შემდეგი სურათია:

- ცენტრალური და ნაკვეთებთან მიმავალი გზები დამაკმაყოფილებელია და არ უქმნის პრობლემას საქმიანობის განხორციელებას.
- გამოკითხულთა უმრავლესობა დადებითად აფასებს ელექტროენერჯიის მიწოდების უწყვეტობაც, მაგრამ ეს მხოლოდ საცხოვრებელ სახლების უზრუნველყოფას ეხება.
- უარყოფითად შეფასდა სიტუაცია სარწყავ წყალთან და გაზომომარაგებასთან დაკავშირებით.






გამოკითხვისას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარების ყველაზე დიდ პრობლემად ვეტერინარული მომსახურების ხელმიუწვდომლობა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უქონლობა, კონსულტაციების დეფიციტი, სათესლე მასალისა და ვეტპრეპარატების ხელმიუწვდომლობა დასახელდა. 25-ე დიაგრამაში მოყვანილი მაჩვენებლები სასოფლო-სამეურნეო საშუალებების და


კონსულტაციების გამოყენების დაბალ დონესთან დაკავშირებით, გამომდინარეობს ამ მომსახურების ან დაბალი ხარისხიდან და/ან ხელმიუწვდომობიდან, რაც მიზნობრივი არეალის დიდ პრობლემას წარმოადგენს.

კითხვაზე, თუ რა უშლის ხელს სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის განვითარებას, გამოკითხულთა მიერ პირველი რიგის პრობლემად დასახელდა ფინანსების ხელმიუწვდომლობა და ცოდნის დეფიციტი.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ძალზე დაბალია მოსახლეობის ინფორმირებულობა ისეთი რესურსების შესახებ, როგორცაა სარწყავი წყალი, ტექნიკით მომსახურება და სხვა სამეურნეო ინფრასტრუქტურა. მაშასადამე, რეგიონში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება ძალიან დაბალ დონეზეა და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მას სტაბილურ შემოსავლის წყაროდ არ აღიქვამს.



გაყიდვების სტრუქტურა სამიზნე არეალში




სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართულ რესპონდენტთა მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობრივ სიმცირეზე მიუთითებს გაყიდვების სტატისტიკაც. კვლევამ უჩვენა, რომ გამოკითხულთა 53,33% მიღებული პროდუქციის რეალიზაციას ადგილზე, ეზოდან ახდენს, ხოლო 25% - ჩამოსულ გადამყიდველებს აწვდის. დიდი ქალაქების ბაზრებზე თავისი

ძალებით პროდუქციის რეალიზაციას მხოლოდ 15% ახერხებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ტურისტული ინფრასტრუქტურის მნიშვნელობის ზრდა რეალიზაციის არხების განვითარებაში.




მიზნობრივი არეალის გაყიდვების სტრუქტურაში სულ უფრო დიდ წილს ტურისტული სექტორი იკავებს, მაგრამ რესპონდენტთა გამოკითხვის შედეგად დადგინდა ასევე, რომ სასტუმრო სახლების მეშვეობით პროდუქციას ყიდის ჯერ მხოლოდ 28,33%. მიუხედავად ამ მონაცემის დაბალი




მაჩვენებლისა, ვხედავთ, რომ ტურისტული ინფრასტრუქტურის მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციაში იზრდება, რადგან სულ რამდენიმე წლის წინ ეს მაჩვენებელი ფაქტობრივად 0-ს უდრიდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ინფრომაცია ამ არხების გამოყენების შესაძლებლობებზე ჯერ რესპონდენტთა ძალიან მცირე რაოდენობას აქვს. ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას გვანიჭებს სასტუმროების არსებობის შესახებ გამოკითხვის არასახარბიელო შედეგები. რესპონდენტთა შორის მეტად მაღალია ისეთი პირების რაოდენობა, რომლებსაც საერთოდ არ გააჩნიათ ინფორმაცია სამივე მხარეში ტურიზმისა და სასტუმრო სახლების არსებობის შესახებ: გუდამაყარში - 28,57%; ფშავში - 33,33 %-ს; ხევსურეთში - 39,13%-ს.

ისინიც კი, ვისაც მოეპოვება გარკვეული ინფორმაცია სასტუმრო სახლების შესახებ, განსხვავებულ მოსაზრებებს და საკითხის ზედპირულ ცოდნას აფიქსირებენ, რაც დამატებით ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მიზნობრივ არეალში მცხოვრებ პირთა უმრავლესობა არც პირდაპირ და არც ირიბად არ არის ჩართული ტურისტულ საქმიანობაში; შესაბამისად, ისინი არც ვარაუდობენ, რომ მიიღებენ რაიმე სარგებელს ტურიზმის განვითარებით.



ზემოთ მოყვანილ პრობლემებს ადასტურებს გამოკითხვის ის შედეგი, სადაც მიზნობრივ არეალში რესპონდენტთა მიერ დაფიქსირდა დაბალი სამეწარმეო აქტივობაც, კერძოდ, სამეწარმეო საქმიანობის ლეგალიზაციასთან დაკავშირებით სურათი სავალალოა: მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი შემოსავლის მნიშვნელოვან წილს სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან იღებს, მეწარმე სუბიექტებად მხოლოდ 11,67% (ინდ. მეწარმედ) და 5% (შპს) არის რეგისტრირებული.





აღნიშნული მონაცემი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი თვითუზრუნველყოფაზეა ორიენტირებული და ნაკლებად არის ჩართული საბაზრო ურთიერთობებში.

გამოკითხულ რესპონდენტთა აზრის დაზუსტება რეგიონში სასურველი საინვესტიციო მიმართულებების შესახებ, საშუალებას იძლევა შევადგათ სასოფლო-სამეურნეო სექტორის პერსპექტიულობა გამოკითხულთა თვალთ.

გამოკითხვის შედეგებიდან ჩანს, რომ სასურველ საინვესტიციო სექტორებს შორის ლიდერობს მერძეული მესაქონლეობა და მეფუტკრეობა. შემდეგ პოზიციაზეა მეხორცული მესაქონლეობა, ხოლო მეცხვარეობასა და მეთევზეობას საკმაოდ სუსტი პოზიციები უკავიათ.


მეთევზეობის ნაკლები პოპულარობა დაკავშირებულია სპეციალური წყლის რესურსების დეფიციტთან და დარგობრივი ცოდნის ნაკლებობასთან, ხოლო მეცხვარეობის პრობლემას ზამთრის სამოვრების და საკვების ხელმიუწვდომლობა განაპირობებს.



კითხვაზე, თუ რომელ დარგში ხდება ქიმიური საშუალებების გამოყენება, მივიღეთ შემდეგი ინფორმაცია:


ქიმიურ საშუალებებს სამივე სამიზნე არეალში იყენებენ სამკურნალო დანიშნულებით მეცხოველეობასა (მესაქონლეობა და მეცხვარეობა) და მეფუტკრეობაში, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში და სათიბ-სამოვრებში არ ხდება ქიმიური საშუალებების გამოყენება.

კითხვაზე, თუ რამდენად აქვთ ინფორმაცია ბიოწარმოებისა და ბიომეთოდების შესახებ, რესპონდენტთა 61,67%-მა დადებითი პასუხი გასცა და ინფორმაციის წყაროც დაასახელა (ბიოლოგიურ მეურნეობათა ასციაცია "ელკანა"). მართალია, აქვე უნდა ითქვას, რომ ცოდნა, რომელიც გამოავლინეს გამოკითხულებმა ძალზე ზედაპირული გამოდგა.





მიზნობრივი არეალის სოციალური საკითხები

გამოკითხვის ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენდა რეგიონების მიხედვით ავტორიტეტული პიროვნებების გამოვლენაც, რათა შემდგომში გამოყენებული ყოფილიყო მათი რესურსი ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტების დამყარებაში. კითხვაზე, არის თუ არა რეგიონში ავტორიტეტული პირები, განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა და მათ წარმოგიდგინთ რეგიონალურ ჭრილში.





ფშავში შემდეგი სურათი დაფიქსირდა: ავტორიტეტებს შორის 3 ქალი და 2 მამაკაცი იყო დასახელებული. ამასთან, ავტორიტეტ ქალთა საერთო წილმა 16,67%, ხოლო ავტორიტეტ მამაკაცთა წილმა - მხოლოდ 6,67% შეადგინა. საყურადღებოა ისიც, რომ გამოკითხულთა 76,67%-მა საერთოდ უარყო ავტორიტეტული პიროვნებების არსებობა რეგიონში.

გუდამაყარში ავტორიტეტების არსებობა დადასტურა გამოკითხულთა 1/2-ზე მეტმა. აქ მამაკაცებს უპირატესობა მიენიჭათ, თუმცა ქალები ავტორიტეტად - 14,29%-მა მაინც დაასახელა. ავტორიტეტების არსებობა უარყო რესპონდენტთა 42,86%-მა.



ხევსურეთში რესპოდენტთა 69,57%-მა საერთოდ უარყო ავტორიტეტის არსებობა რეგიონში, ხოლო 30,43%-მა მხოლოდ მამაკაცები დაასახელა.

რესპოდენტთა 75%-ს მიაჩნია, რომ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ქალებსა და მამაკაცებს შორის შრომა თანაბრად არის განაწილებული. 16,67%-მა ვერ გასცა პასუხი ამ კითხვას, ხოლო დარჩენილმა 8,33%-მა განსხვავებული მოსაზრებები გამოთქვა, თუმცა მათი უმრავლესობა, მამაკაცთა შრომის უფრო მაღალი ხვედრითი წილის არსებობას ემხრობა.



კითხვაზე, თუ რა მოცულობით თანამონაწილეობაზე არიან მზად საგრანტო დაფინანსების შემთხვევაში, რესპოდენტთა დიდმა ნაწილმა თანამონაწილეობაზე თანხმობა გამოთქვა და განაცხადა, რომ მზად არის საგრანტო თანხის 10-20%-ის წილი გაიღოს (პროექტის ღირებულება 5,000-20,000 ლარი). მხოლოდ მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილმა გამოხატა 30%-იანი თანამონაწილეობისათვის მზაობა. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის 5% საერთოდ არ არის მზად თანამონაწილეობისათვის.

როგორც ჩანს, რეგიონში საკმაოდ იშვიათია ეკონომიკური განვითარების პროგრამების განხორციელება და გამოკითხულთა დიდი ნაწილი დღევანდელი საგრანტო პროგრამების თანამონაწილეობითი დაფინანსების პრინციპებშიც არაა გარკვეული.

ფშავში, ხევსურეთსა და გუდამაყარში არსებული მდგომარეობისა და ძირითადი პრობლემების მიმოხილვა

გუდამაყარი

მეფუტკრეობა

გუდამაყარის ხეობაში მეფუტკრეობა სუსტადაა განვითარებული - აქ ძირითადად შეხვდებით მცირე მეფუტკრეებს, რომელსაც ჰყავთ ფუტკრის 3-4 ოჯახი, აწარმოებენ მცირე რაოდენობით თაფლს და მას მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის იყენებენ; არ გააჩნიათ თაფლის გამოსაწური ციბრუტი, არსებული სკები დაბალპროდუქტიულია და, როგორც წესი, მოძველებული, საჭიროებს შეცვლას. არ აქვთ თაფლის შესანახი ჭურჭელი, რომლის სურსათთან შეხებაშია ნებადართულია. გუდამაყარში არ არსებობს ფუტკრის პროდუქტების გადასამუშავებელი საწარმო.

მეცხოველეობა

გუდამაყარში მოსახლეობას ძირითადად 1-15-მდე მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავს, რომელიც დეგრადირებულია, რაც გამოიხატება დაბალი პროდუქტიულობით როგორც სახორცე, ისე მერძეული მიმართულებით. ერთ-ერთ ძირითად პრობლემას ზამთარში პირუტყვისათვის არასაკმარისი საკვების მიწოდება წარმოადგენს, რაც განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: თითქმის აღარ ითიბება არსებული სათიბები, რადგან შრომისუნარიანი მოსახლეობა ამ მხარეში მცირეა, ხოლო მსხვილი ტექნიკისათვის სათიბების მდებარეობა მიუდგომელია. სათიბის ნაწილი დაგვიანებით ითიბება ხელით, რის გამოც მიღებული თივის კვებითი ღირებულება დაბალია, არ იყენებენ კომბინირებულ საკვებს. ადგილობრივი მოსახლეობა თივას ზამთრისთვის ბარში ყიდულობს, რაც საკმაოდ ძვირი ჯდება და დაბალი ყუათიანობისაა. ხეობაში აწარმოებენ მცირე რაოდენობით რძეს, ყველს, კარაქს, ერბოს, რომელთაც ძირითადად თვითონ მოიხმარენ, ხოლო მოჭარბებულს ადგილობრივ ბაზარზე ყიდიან.

მეთევზეობა

გუდამაყარში არის ერთი მცირე საკალმახე მეურნეობა, რომელიც დღეისათვის არ ფუნქციონირებს - ადგილზე არ არის საკმარისი ცოდნა და გამოცდილება საკალმახის ასამუშავებლად.

ხევისურეთი

მეფუტკრეობა

ხევისურეთში მეფუტკრეობა უფრო განვითარებულია, ვიდრე გუდამაყარში - აქ ვხვდებით ძირითადად საშუალო მეფუტკრეებს (10-30 ოჯახი), რომლებიც აწარმოებენ თაფლს, არა მარტო საკუთარი მოხმარებისთვის, არამედ გასაყიდადაც - ადგილზე ყიდიან 1 კილოგრამს 25 ლარად. მეფუტკრეები იყენებენ ალუმინის მექანიკურ ციბრუტს და რეზერვუარებს, რომელიც სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ხევისურეთში არსებული სკების უმეტესობა დაბალპროდუქტიულია და სისტემურად მოძველებულია, საჭიროებს შეცვლას. არ არსებობს ფუტკრის პროდუქტების გადასამუშავებელი საწარმო, შესაბამისად, თაფლის გარდა, არ იწარმოება ფუტკრის სხვა პროდუქტი.

მეცხოველეობა

ადგილობრივ მოსახლეობას ძირითადად ჰყავს 1-25-მდე მსხვილფეხა პირუტყვი, რომელიც დეგრადირებულია, რაც გამოიხატება დაბალი პროდუქტიულობით როგორც სახორცე, ისე მერძეული მიმართულებით. ხეობაში იწარმოება: რძე, ყველი, კარაქი, ერბო და ნაღული, რომლის ძირითად ნაწილს ყიდიან ადგილობრივ ბაზარზე. ხევისურეთში უფრო მეტად განვითარებულია მეხორცეული მესაქონლეობა. ხეობაში არსებობს შემდეგი პრაქტიკა - გაზაფხულზე ბარში ყიდულობენ მოზარდ პირუტყვს, ზრდიან მთის საძოვარზე და შემოდგომით ყიდიან ადგილიდან გადამყიდველებზე. მოსახლეობა ვერ ახერხებს მეხორცეული პირუტყვის გამოზამთრებას, რაც ამცირებს მოგების წილს ფერმერთათვის. არსებული სათიბები თითქმის აღარ ითიბება, რადგან შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა ძალზე შემცირებულია, ხოლო სათიბები მსხვილი ტექნიკისათვის მიუდგომელია. სათიბის ნაწილი დაგვიანებით ითიბება ხელით, რის გამოც მიღებული თივის კვებითი ღირებულება დაბალია. ხევისურეთის მაღალ ზონაში მოსახლეობას მინიმუმ 5 ჰა სათიბი აქვს, ხოლო ქვედა სოფლებში - 1დან-3 ჰა-მდე.

ხევისურეთში არ არსებობს ვეტერინარული მომსახურება, ადგილობრივები მიმართავენ ფშავის ვეტეჟიმს.

მეთევზეობა

ხევისურეთში მეთევზეობა არ არის განვითარებული.

ფშავი

მეფუტკრეობა

ფშავში ძირითადად საშუალო და მსხვილი მეფუტკრეები ცხოვრობენ (10-150 ოჯახი). მეფუტკრეთათვის ძირითადი შემოსავალია ადგილზე თაფლის რეალიზაცია (1 კგ-ს 20-25 ლარად ყიდიან) და წარმოებულ თაფლზე მოთხოვნა მაღალია. არსებული სკების ნაწილი დაბალპროდუქტიულია და საჭიროებს შეცვლას. ქვედა ფშავში არსებობს თაფლის გადამამუშავებელი მცირე საწარმო, რომელიც არ მუშაობს. თაფლის გარდა არ იწარმოება ფუტკრის სხვა პროდუქტები, მხოლოდ ერთი მეფუტკრე აწარმოებს ფუტკრის დედებს სარეალიზაციოდ.

მეცხოველეობა

ფშავში შედარებით განვითარებულია მერძეული მესაქონლეობა. შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს დამბალხაჭოს რეალიზაცია. ადგილობრივ მოსახლეობას ძირითადად ჰყავს 1-30-მდე მსხვილფეხა პირუტყვი, რომელიც დეგრადირებულია, რაც გამოიხატება დაბალი პროდუქტიულობით როგორც სახორცე, ისე მერძეული მიმართულებით. არსებული სათიბები თითქმის აღარ ითიბება, რადგან შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა ძალზე შემცირებულია, ხოლო სათიბები მსხვილი ტექნიკისათვის მიუდგომელია. სათიბის ნაწილი დაგვიანებით ითიბება ხელით, რის გამოც მიღებული თივის კვებითი ღირებულება დაბალია. უკანფშავში თითოეულ ფერმერს 10 ჰა-მდე სათიბი აქვს. ფშავში ცხოვრობს ერთი მოქმედი ვეტერინარი, რომელიც ემსახურება მთელ რეგიონს. ფშავში არსებობს ერთი დიდი რძის მიმღებ-გადასამუშავებელი საწარმო (სოფ. შუაფხო), რომელიც ჯერ არ ფუნქციონირებს. ასევე არის რამდენიმე მცირე გადასამუშავებელიც, რომლებიც რძის სიმცირის გამო, მხოლოდ სეზონურად მუშაობენ.

მეთევზეობა

ფშავში ერთი საკალმახე მეურნეობა ფუნქციონირებს, ზრდის და ყიდის კალმახს.

ორგანული სოფლის მეურნეობის პოტენციალი სამიზნე რეგიონში

ორგანული სოფლის მეურნეობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ისეთი სისტემაა, რომელიც ხელს უწყობს გარემოს დაცვასა და მდგრად განვითარებას - ნიადაგის, ეკოსისტემის შენარჩუნებას და ადამიანის, როგორც გარემოს ნაწილის, კეთილდღეობას.

სამიზნე მხარეების ლანდშაფტი, მცირემიწიანი მეურნეობები და სოფლის მეურნეობის მართვა ტრადიციული მეთოდებით, არ იძლევა საშუალებას აწარმოონ დიდი რაოდენობის იაფი პროდუქცია, რომელიც ბაზარზე კონკურენტუნარიანი იქნება. მაგრამ სამივე მიზნობრივ მხარეს აქვს პოტენციალი აწარმოოს მცირე რაოდენობის, მაგრამ სუფთა, მაღალი ხარისხის ბიოპროდუქცია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამივე სამიზნე მხარეში მხოლოდ მესაქონლეობასა და მეფუტრეობაში პრევენციისა და მკურნალობის მიზნით გამოიყენება ქიმიური პრეპარატები. სათიბ-საძოვრებსა და სავარგულეებში არ იყენებენ ქიმიურ საშუალებებს, მოსახლეობა ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისთვის იყენებს საქონლის ნაკელს. ასეთ სიტუაციაში ადგილობრივი მეურნეობების ბიომეთოდებზე გადაყვანა ბევრად მარტივი იქნება. ბიო/ორგანული წარმოების განვითარება ხელს შეუწყობს ამ მხარეების სოფლების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და გარემოს დაცვას. ამასთან, ბიოპროდუქციის რეალიზაციით სამივე სამიზნე მხარის ფერმერთა შემოსავალიც გაიზრდება.

მოსახლეობის ნაწილს ზოგადი წარმოდგენა კი აქვს ბიო/ორგანულ სოფლის მეურნეობაზე, მაგრამ შეგნებულად არავენ იყენებს ბიომეთოდებს (კომპოსტის დამზადება, პარკოსნების შეთესვა, მულჩირება და სხვ.). ასევე არ აქვთ ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისა და მცენარეთა დაცვის ბიოსაშუალებებზე.

მეურნეობის ბიოსერტიფიცირება რთული პროცესია, რისთვისაც ამ მხარეების მოსახლეობა ჯერ არ არის მზად. მიგვაჩნია, რომ ორგანული სოფლის მეურნეობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად საჭიროა საგანმანათლებლო სამუშაოების ჩატარება, რაც აუცილებელი წინაპირობაა ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებისა და საღი პროდუქტის წარმოებისათვის.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია ვიფიქროთ რეგიონში პოტენციური ბიოპროდუქტების წარმოებაზე, როგორცაა: თაფლი და ფუტკრის სხვა პროდუქტები, რძის პროდუქტები და კარტოფილი.

ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების პოტენციალის SWOT ანალიზი

<p>ძლიერი მხარეები</p> <ul style="list-style-type: none"> • სასოფლო-სამეურნეო საძოვრებისა და სათიბების საკმარისი არსებობა; • ტრადიციული წარმოება; • რეგიონში წარმოებული პროდუქტის მაღალი რეიტინგი მომხმარებელში; • კარგი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა (თბილისთან სიახლოვე); • ტყეებისა და დაცული ტერიტორიების არსებობა; • შენარჩუნებული ბიომრავალფეროვნება. 	<p>სუსტი მხარეები</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსახლეობის დაბერება; • ახალგაზრდების მიგრაცია; • ვეტმომსახურების ცენტრის არარსებობა; • ვეტპრეპარატების ხელმიუწვდომლობა; • ახალ ტექნოლოგიებზე ინფორმაციის უქონლობა და ხელმიუწვდომლობა; • მოძველებული საწარმოო საშუალებები; • დეგრადირული ჯიშები; • დარგობრივი ცოდნის დეფიციტი; • არსებული სათიბ-საძოვრების არსწორი მართვა; • სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაუცველობა; • მოსახლეობის 100%-ისთვის ბუნებრივი აირის ხელმიუწვდომლობა; • შიდა გზების გაუმართაობა; • სოფლებში ელექტროენერჯის მიწოდების მოძველებული სისტემები - ზოგან საერთოდ არ არის ელექტროენერჯია; • სამედიცინო მომსახურების დაბალი დონე.
<p>შესაძლებლობები</p> <ul style="list-style-type: none"> • ვეტმომსახურების ცენტრის მოწყობა; • ხელოვნური განაყოფიერების დანერგვა; • ინოვაციური მოდელების მოწყობა; • სურსათის უვნებლობის მოთხოვნების შესატყვისი საწარმოების მოწყობა და მათი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა; • დარგობრივი საგანმანათლებლო ტრენინგების ჩატარება; • მცირე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა სათიბების სწორი მართვისთვის; • ბიოგაზის მოწყობა; • ტურიზმის განვითარების პოტენციალი; • აგროტურიზმის განვითარება; • ტრადიციული, მათ შორის, დაცული გეოგრაფიული აღნიშვნების პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების პოტენციალი; • ინფრასტრუქტურის განვითარება 	<p>არსებული საფრთხეები</p> <ul style="list-style-type: none"> • მესაქონლეობაში სულადობის შემცირება; • ტრადიციული ცოდნის დაკარგვა; • ქიმიური საშუალებების ინტენსიური გამოყენება; • ფუტკრის ოჯახების განადგურება; • ბუნებრივი კატასტროფები; • მოსახლეობის ბუნებრივი კლება და ავადობა.

მესაქონლეობის საწარმოო ჯაჭვის ანალიზი

ზოგადი მიმოხილვა

სტატისტიკური მონაცემებით, ქვეყანაში დაბალია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პროდუქტიულობა. უკანასკნელ წლებში ეს მაჩვენებლები არ უმჯობესდება, პირიქით, საშუალო წლიური წველადობა თანდათან მცირდება. დაბალი წველადობა მრავალი ურთიერთდაკავშირებული მიზეზით არის გამოწვეული.

ხევისურეთში, ფშავსა და გუდამაყარში მცირე ზომის ფერმერული მეურნეობების უმრავლესობა ტრადიციულად მისდევს მესაქონლეობას. ისინი აწარმოებენ რძის პროდუქტებს და ხორცს. მოსახლეობის უმრავლესობას ჰყავს 1-დან 25 სულამდე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელთა დიდი ნაწილი გამოიყენება საოჯახო მოხმარებისთვის (დამბალხაჭო, რძე, ყველი, ხორცი). გარდა ამისა, არსებობენ საშუალო ზომის ფერმერული მეურნეობები, რომლებიც ფლობენ 10-დან 80 სულამდე პირუტყვს და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის უდიდესი ნაწილი განკუთვნილია სარეალიზაციოდ. შუაფხოში აშენდა ერთი დიდი ზომის სასოფლო-სამეურნეო საწარმო. საწარმო (200 სულ ძროხაზე) შექმნილია უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციით და ჯერ არ ფუნქციონირებს. მესაქონლეობიდან მიღებულ შემოსავლებში ხვედრითი წილის მიხედვით, მთავარი მაინც არის მერძევეობა. აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალში იშვიათად გვხვდება მცირე ან დიდი ზომის ფერმერული მეურნეობა, რომელიც სპეციალიზებულია მხოლოდ სახორცე მიმართულების მესაქონლეობაზე.

გარემო პირობები

მცირე ზომის ფერმერულ მეურნეობებში გავრცელებულია ცხოველის შენახვის ექსტენციური სისტემა, რომლის დროსაც მეცხოველეობის ყველა სამუშაო სრულდება ხელით, პრიმიტიული იარაღების გამოყენებით.

მოზრდილი მწარმოებლები ზაფხულობით, ინტენსიურად იყენებენ მაღალმთიან საძოვრებს, ხოლო ზამთარში - კომბინირებულ საკვებს. მათ ზაფხულობით პირუტყვი გადაჰყავთ ალპურ საძოვრებზე, რომელიც მაღალი კვებითი ღირებულებისაა, შემოდგომაზე კი კვლავ აბრუნებენ უკან ფერმებში, სადაც კვება ხდება ბაგურად.

რეგიონში მერძეული მეძროხეობის ზოოჰიგიენური ნორმები უხეშად დარღვეულია კერძო მსხვილ და მცირე მეურნეობებში (შენობა-ნაგებობები, ვენტილაცია, სადგომები, მათი პარამეტრები, საწუნწუხე ორმო, ნაკელსაცავი, საძროხის მიკროკლიმატი, საკვებურები, პერსონალის და რძის წარმოების ჰიგიენა). ფერმერებმა ცოტა რამ იციან ზოოჰიგიენური წესების დაცვის შესახებ. თუმცა, წესების სრულად დაცვა ხშირად დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ელემენტარული ნორმების დაცვა აუმჯობესებს პირუტყვის ჯანმრთელობას და მიღებულ პროდუქციის ხარისხს. საერთოდ, სოფლის მეურნეობაში

ცხოველთა მოვლა-შენახვის და პირველადი პროდუქციის მიღების ზოოჰიგიენური ნორმების დაცვა განაპირობებს ადამიანისთვის უვნებელი მეცხოველეობის პროდუქტების მიღებასა და მათი შემდგომი გადამუშავების კეთილსაიმედოობას. სადგომში ყოველთვის უნდა იყოს სისუფთავე, რადგან დაბინძურებული გარემო უარყოფითად მოქმედებს პროდუქტიულობაზე. ცხოველების პროდუქტიულობა დიდად არის დამოკიდებული მოვლა-შენახვის პირობებზე.

ჯიშები და მათი გაუმჯობესება

სამივე სამიზნე მხარეში ფართოდაა გავრცელებული ქართული მთის ძროხის ხევესურული ჯილაგი. ეს ჯიში ხასიათდება მაღალი სარძევე და სახორცე პროდუქტიულობით. დღეისათვის სანაშენე საქმიანობის არარსებობისა და აბსოლუტურად უკონტროლო შეჯვარების ფონზე, სოფლად გავრცელებულ პირუტყვის პროდუქტიულობა საკმაოდ დაბალია. ცნობილია, რომ საკვებით რძის ანაზღაურება დიდად არის დამოკიდებული ფურის პროდუქტიულობის დონეზე. წველადობის თანაბარ დონეზე კულტურული ჯიშის ფურები 1 კგ რძეზე ხარჯავენ 1,4-1,7 კგ საკვებ ერთეულს, როდესაც ქართული მთის ჯიშის ფურები 1 კგ რძეზე ხარჯავენ საშუალოდ 0,9 კგ საკვებ ერთეულს, ანუ დაახლოებით 2-ჯერ ნაკლებს. ამგვარად, ქართული მთის ჯიშის ფურებს ახასიათებს საკვების ძლიერ მაღალი ანაზღაურება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს რძის თვითღირებულებას.

ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომელიც განაპირობებს ფურების სარძეო პროდუქტიულობას, არის მემკვიდრეობითი ფაქტორი. მეძროხეობაში გენეტიკური გაუმჯობესების ტემპი ხალასჯიშობრივი მოშენებისას აღწევს 1,4-2%, ანუ 45-60 კგ-ს წელიწადში, ერთ სულ ფურზე 3,000 კგ საშუალო წველადობისას. ადგილობრივი ქართული მთის ჯიშების მაჩვენებლები ამ შემთხვევაში შეადგენენ შესაბამისად – 17-23 კგ-მდე (მათი საშუალო წველადობაა 1140 კგ).

ხელოვნური განაყოფიერება, როგორც ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი ელემენტი, საშუალებას იძლევა სწრაფად გავაუმჯობესოთ ცხოველთა ჯიშობრივი შემადგენლობა, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ძვირფასი ნიშან-თვისების მქონე კურო მწარმოებლები.

ახლანდელ პირობებში ამ ჯიშზე სანაშენე მუშაობა უნდა წარიმართოს ძირითადად ხალასი მოშენების გზით. მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს მის შენარჩუნებას, მომრავლებას, შემდგომ სრულყოფას და რაციონალურ გამოყენებას.

ხორცის წარმოების გადიდების მიზნით მიმართავენ ქართული მთის ჯიშის სამრეწველო შეჯვარებას სახორცე ჯიშებთან - ჰალოვისთან, აბერდინანგუსურთან და სხვებთან, რაც დადებით შედეგს იძლევა. ეს განსაკუთრებით ხელსაყრელი იქნება სახორცე მეცხოველეობაში მიღებული ტექნოლოგიის გამოყენებისას. ამ შემთხვევაში ფურის ძლიერ დაბალი ცოცხალი მასის გამო, მცირე იქნება მისი შენახვის ხარჯები, რომლებიც მთლიანად სახორცედ განკუთვნილ მის ხბოს დაეწერება და ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს ხორცის თვითღირებულებას.

პირუტყვის კვება

პირუტყვის კვების რაციონის დაცვა აუცილებელია როგორც მისი ნორმალური განვითარებისათვის, ასევე პროდუქტიულობისათვისაც. ყოველდღიურ კვების რაციონში უნდა შედიოდეს მშრალი, წვნიანი და კომბინირებული საკვები. კვებასთან ერთად, მნიშვნელოვანია საწყურებელი ადგილების მოწყობა. პრობლემაა საკვები ბაზის მოუწესრიგებლობა - პრაქტიკულად არ გვხვდება ფერმერული და საოჯახო ფერმა, რომელსაც საკვები ბაზა სანიმუშოდ ჰქონდეს მოგვარებული, ყურადღება არ ექცევა სულადობის რაოდენობას, შემადგენლობასა და საკვების ხარისხს.

პირუტყვის სულადობისა და ხარისხიანი საკვების წარმოების მოწესრიგება, მათი შესაბამისობაში მოყვანა შესაძლებლობას მოგვცემს იმავე რაოდენობის საკვებით ვაწარმოოთ 30-40%-ით მეტი მეცხოველეობის პროდუქცია, მაგ., თუ ცუდი კვების პირობებში 1 კგ რძის წარმოებაზე დღეს იხარჯება 2-2,5 საკვები ერთეული, ხარისხიანი საკვებით კვებისას დაიხარჯება 0,9-1,2 საკვები ერთეული.

როგორც სხვა რეგიონებში, სამიზნე რეგიონის ფერმერთა უმრავლესობას წარმოდგენა არა აქვს, თუ რას ნიშნავს პირუტყვის სრულფასოვანი კვება - როგორი უნდა იყოს პირუტყვის სხვადასხვა ჯგუფის რაციონი (ახალშობილი ხბო, მოზარდი, მეწველი, მეხორცული ან მაკე ფური, ბუდა), თუ როგორ უნდა შეფასდეს საკვების კვებითი ღირებულება, როგორი სახეობის საკვები უნდა მიიღოს საქონელმა წელიწადის სხვადასხვა დროს. სამიზნე რეგიონის მოსახლეობის პირუტყვი, საქართველოს სხვა რამდენიმე რეგიონთან შედარებით, ძირითადად, უზრუნველყოფილია უხეში საკვებით. ფერმერები ძირითადად იყენებენ თივას და იშვიათად კომბინირებულ საკვებს. ერთი სული ძროხის გამოსაკვებად ორ ტონა თივას მოიხმარენ. თივას ფერმერები ძირითადად, ბარში ყიდულობენ. თითქმის აღარ ითიბება არსებული სათიბები, რადგან შრომისუნარიანი მოსახლეობა ამ მხარეში მცირეა, ხოლო მსხვილი ტექნიკისათვის სათიბების მდებარეობა მიუდგომელია. სათიბის ნაწილი დაგვიანებით ითიბება ხელით, რის გამოც მიღებული თივის კვებითი ღირებულება დაბალია. მწყემსვა და ზამთრისთვის საკვების დამზადება დიდ ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს, ამიტომ ამ საქმიანობებს უმეტესად მამაკაცები ასრულებენ. კარგი იქნება არსებული სათიბ-სამოვრების სრული ათვისება, რადგან სამოვრების დიდ ნაწილზე დაწყებულია გატყევა.

დაავადებები

რეგიონში როგორც საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში, გავრცელებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ბევრი დაავადება: ინფექციური, ინვაზიური, არაგადამდები და სხვ. ამ დაავადებების უმეტესობა საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის დაავადებული ცხოველების მოვლისას და მათგან მიღებული პროდუქტების მოხმარებისას. მკვეთრად ეცემა დაავადებული პირუტყვის პროდუქტიულობა, მისი რძის ან ხორცის გამოყენება კი საერთოდ აკრძალულია. ხშირად ფერმერებს წარმოდგენა არა აქვთ, თუ რამდენჯერ და რა პირობების დაცვით უნდა ჩატარდეს პროფილაქტიკური ღონისძიებები. მათ არ იციან, რომ შინაგანი და

გარეგანი პარაზიტებისაგან დროულად და სწორად გათავისუფლებული საქონლის პროდუქტიულობა 20-30%-ით იზრდება. ფერმერებმა არ იციან, რომ აცრის შემდეგ აუცილებელია დაყოვნება (მოცდა), გარკვეული დროით მესაქონლეობის პროდუქციის გამოყენების შეზღუდვა; არ იციან აცრების ჩატარების ელემენტარული წესები და ჯერადობა, როგორ უნდა გამოვლინდეს დაავადება ადრეულ სტადიაზე და რა ხერხებს უნდა მიმართონ, რომ გამოჯანმრთელებული პირუტყვის პროდუქტიულობა სწრაფად აღდგეს. რეგიონში სურსათის ეროვნული სააგენტო პირუტყვის სავალდებულო აცრას ახორციელებს და ყველა ცხოველი იდენტიფიცირებულია.

ვეტერინარია/კონსულტაციები

ცხოველისათვის საჭირო მედიკამენტების შეძენა ხდება თბილისის ვეტ-აფთიაქებში. რეგიონში ფშავში არის ერთი ვეტექიმი, რომელსაც მიმართავს გუდამაყრის და ხევსურეთის მოსახლეობაც.

პროდუქტიულობა

ჯიშის სწორად შერჩევის გარდა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სახორცე პროდუქტიულობაზე გავლენას ახდენს პირუტყვის ასაკი, სქესი, მემკვიდრეობა, კვების რაციონი, კლიმატური ზონა და სხვ.

ადგილობრივი ფერმერული მეურნეობები სახორცედ იყენებენ მოზვერებს, რადგან 2 წლის მოზვერის წონა მეტწილად ოპტიმალურია. როგორც აღვნიშნეთ, კვებას დიდი გავლენა აქვს პირუტყვის წონაზე, ამასთან 2 წლის ცხოველი ბევრად უფრო სწრაფად აგროვებს ორგანიზმში ცხიმს. ყველაზე გავრცელებული ფორმაა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სამოვარზე სუქება. მიუხედავად იმისა, რომ საქონლის სუქებისათვის გაცილებით უფრო ეფექტურია ბაგური კვება, სამიზნე მხარეებში ეს პრაქტიკულად არ ხდება, ვინაიდან მცირე და საშუალო ზომის ფერმერები არ მუშაობენ საკვებწარმოებაზე. მეხორცეული საქონლის რეალიზაცია ხდება ადგილზე, შუამავლების საშუალებით.

რამდენადაც ჩვენში სპეციალიზირებული სახორცე მეძროხეობა არ არის განვითარებული, ხორცის წარმოების ერთადერთი წყაროა სარძევე და კომბინირებული ჯიშები. აქედან გამომდინარე, ჯიშის შერჩევისას, სახორცე პროდუქტიულობის პოტენციურ შესაძლებლობასა და ხორცის ხარისხის მაჩვენებლებს ფერმერები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც განვითარებულია სპეციალიზირებული სახორცე მეძროხეობა. უკანასკნელ წლებში ქვეყანაში ბაზარზე განსათავსებლად განკუთვნილ ხორცთან დაკავშირებით მოქმედებს რეგულაცია, რომლის თანახმადაც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი აუცილებლად უნდა დაიკლას აღიარებულ სასაკლაოზე, სადაც ვეტერინარის მიერ მოწმდება როგორც ცოცხალი პირუტყვი, ასევე ხორცი, რის საფუძველზეც სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიერ გაიცემა შესაბამისი ცნობა, ე.წ. ფორმა #2. ოფიციალურ სასაკლაოზე არ დაკვლის შემთხვევაში, ფერმერი ვერ მოახერხებს საქონლის ხორცის ბაზარზე გატანას და გაყიდვას.

ერთი ხბოს ღირებულება დამოკიდებულია ასაკზე და მერყეობს 300 ლარიდან (ერთ თვემდე ასაკის) 800 ლარამდე (ერთი წლის). მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი სამი წლის ასაკიდან ზრდასრულად ითვლება, რომელსაც შეუძლია მოგვეცეს ხბო და რძე. დიდი ზომის ფერმერული მეურნეობებისათვის საკვების ხარჯი 1 სულ პირუტყვზე შეადგენს საშუალოდ 500 ლარს წელიწადში (ამ ხარჯების დიდი ნაწილი მოდის თივის, ნამჯის, ჩალის და კომბინირებული საკვების შესყიდვაზე). საჭირო მედიკამენტების ღირებულება 1 სულზე შეადგენს საშუალოდ 20 ლარს წლიურად. მუშების საშუალო ანაზღაურება, რომლებიც მეთვალყურეობენ ცხოველებს, შეადგენს 240 ლარს წელიწადში 1 სულ საქონელზე. მცირე ზომის ფერმერულ მეურნეობებში, რომლებიც 1-დან 15-მდე სულ პირუტყვს ფლობენ, მეურნეობას თავად ოჯახის წევრები უძღვებიან და დაქირავებულ შრომას არ იყენებენ. საშუალოდ მსხვილი ფერმერული მეურნეობები კი ძირითადად დაქირავებულ შრომას იყენებენ პირუტყვის მოვლის მიზნით.

ფურების რძის პროდუქტიულობის ძირითადი მაჩვენებლებია წველადობა, რძის ცხიმისა და ცილის რაოდენობა. რძის პროდუქტიულობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე – როგორც მემკვიდრეობით, ასევე გარემო პირობებზე (მოვლა-შენახვა, კვება, ლაქტაციის პერიოდი, სერვის-პერიოდი, მშრალობის პერიოდი, მოგების სეზონი, ცოცხალი მასა, ასაკი ფურის ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვ.).

რძის პროდუქტების წარმოება

სამიზნე რეგიონში პირუტყვს ხელით წველიან. მცირე ფერმერული მეურნეობები, რომლებსაც 1-10 ძროხა ჰყავთ, ამას საკუთარი ძალებით აკეთებენ. შედარებით დიდი ფერმერები მწველავად ქალებს ქირაობენ. მოსახლეობაში მოსაწველი მექანიკური საშუალებები ნაკლებად პოპულარულია მათი სიძვირის გამო. ამის მეორე მიზეზია ფერმერებში გავრცელებული ინფორმაცია, რომ მექანიკური საშუალებები საქონლის ცურს აზიანებს, რაც სხვადასხვა დაავადებას იწვევს. აღსანიშნავია, რომ მოწველის დროს მწველავები, როგორც წესი, მკაცრად არ იცავენ პირადი და ზოგადი პირველადი პროდუქტის (რძის) მიღების ჰიგიენის ნორმებს.

მცირე ფერმერულ მეურნეობებში მოწველის შემდეგ ქალები ყველის და სხვა რძის პროდუქტების დამზადებაზე გადადიან. ფშავში მეტად გავრცელებულია დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის „დამბალხაჭო“-ს წარმოება, ხოლო ხევსურეთსა და გუდამაყარში მარილწყალში ან მშრალად შენახული ყველის, რომელის წონა დაახლოებით 1,5-5 კგ-მდე მერყეობს. ვინაიდან რძე მალფუჭებადი პროდუქტია, ყველი მოწველიდან მოკლე პერიოდში მზადდება. ერთი კგ ყველის მისაღებად 6-8 ლიტრი რძეა საჭირო. რძე ცხელდება 32-38 გრადუსამდე. შემდეგ შესადეებლად ემატება ფერმენტი პეპსინი (ან მაჭიკიდან დამზადებული ფერმენტი), რომელიც რძეს ჭრის. შემდეგ საჭიროა რძის ტემპერატურის შენარჩუნება რძის შედედებამდე, დაახლოებით 20-30 წუთი. შედედებულ რძეს წურავენ და მიღებულ მასას ანაწილებენ ფორმებში. მიღებული ყველი თავსდება წინასწარ მომზადებულ მარილწყალში ან სპეციალურ ჭურჭელში მშრალად, დამარილების გზით. დამბალხაჭოს დამზადების ტექნოლოგია არის უნიკალური ტრადიცია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. დამბალხაჭოს დამზადებისთვის რძეს დღვებენ, დღვების დამთავრების შემდეგ,

დოს აცხელებენ 50–60°C ტემპერატურამდე ცილების გამოყოფის მიზნით. გაცხელებული მასა მოიგდება ხაჭოს, რომელსაც ასხამენ ქსოვილის პარკებში გასაწურად. დოს გაწურვა გრძელდება 10-12 საათი. კარგად გაწურულს გადმოიღებენ პარკიდან, გემოვნების მიხედვით უმატებენ სუფრის მარილს და კარგად გადაზელებენ. გადაზელების დამთავრების შემდეგ აკეთებენ ხაჭოს მრგვალ გუნდებს (კვერებს) დაახლოებით 150-250 გრამის წონით, გუნდას აწყობენ გასაშრობად ცხაურზე მზის სხივებისაგან დაცულ თბილ ოთახში რამდენიმე დღის განმავლობაში. შრობა გრძელდება მანამ, სანამ დოს კვერები კარგად არ გაშრება (გამკვრივდება). ამის შემდეგ გაშრალ კვერებს ათავსებენ თიხის ქოთანში, კარგად ახურავენ თავს და მოსამწიფებლად ინახავენ გრილ ადგილას. ყველის მომწიფება გრძელდება 1-2 თვე.

პროდუქციის ფასები

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის სარეალიზაციო ფასები მნიშვნელოვნად იცვლება წლის განმავლობაში. ის ყველაზე მაღალია წინასააღდესასწაულო დღეებში (საახალწლოდ და სააღდგომოდ), ხოლო ყველაზე იაფი - ზაფხულის თვეებში. გამონაკლისია ხბოს ხორცი, რომელიც შედარებით სტაბილურ ფასს ინარჩუნებს წლის განმავლობაში, ამასთან ხბოს ხორცის ფასი დაახლოებით 2-3 ლარით მაღალია ჩვეულებრივი ხორცის ფასთან შედარებით. ხორცის რეალიზაციის მოცულობა და, შესაბამისად, ფასიც იკლებს მარხვის პერიოდში. ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საშუალო წლიური სარეალიზაციო ფასი 1 კგ-ზე შეადგენს 5-7 ლარს. ხორცის საბითუმო გასაყიდი ფასი 12-14 ლარია კილოგრამზე, ხოლო საცალო ფასი - 15-25 ლარი/კგ.

მოსახლეობა ყიდის რძეს და რძის პროდუქტებს, განსაკუთრებით, ყველს. რძეს ძირითადად არავენ აბარებს, ყველს კი ადგილზე ყიდიან შუამავალ პირებზე, რომლებიც შემდგომ თვითონ უკეთებენ პროდუქციას რეალიზაციას ქალაქებში. ფერმერებისაგან ყველს ხშირად ყიდულობენ მოვაჭრეები თბილისიდან, რომლებთანაც მათ დიდი ხნის ურთიერთობა აქვთ და იციან, თუ რა ხარისხის პროდუქციას აწარმოებენ. 1კგ დამბალხაჭოს ფასი მერყეობს 20-30 ლარამდე, ხოლო 1 კგ ყველის 10 -15 ლარამდე.

კონკურენცია

როგორც მწარმოებლები და გამყიდველები, ისე მომხმარებლები ცალსახად აღიარებენ ადგილობრივი წარმოების მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცისა და რძის პროდუქტების ხარისხის უპირატესობას იმპორტირებულთან ან სხვა რეგიონის პროდუქტთან შედარებით.

მეცხვარეობის საწარმოო ჯაჭვის ანალიზი

სხვა გარემოებებთან ერთად, მეცხვარეობის დარგის განვითარებას ხელს უწყობს ბუნებრივი საძოვრების დიდი მასივები და რბილი კლიმატი. ცხვარი კარგად იტანს შორ მანძილზე გადარეკვას და გამოირჩევა გარემო პირობებისადმი ადაპტაციის დიდი პოტენციალით, რაც ნებისმიერ ეკოლოგიური ზონაში მისი მოშენების საშუალებას იძლევა. სამიზნე რეგიონში გავრცელებულია თუშური ჯიშის ცხვარი.

სამივე სამიზნე მხარეში მეცხვარეობა ერთ-ერთ ტრადიციულ დარგად ითვლებოდა, თუმცა დღეს მხოლოდ რამდენიმე ფერმერია დაკავებული ამ საქმიანობით, ისიც მხოლოდ მეხორცული მეცხვარეობით. ცხვარი ზაფხულში გადაჰყავთ ალპურ საძოვრებზე, ხოლო ზამთარში აზამთრებენ ბაგურად. ცხვრის გამოზამთრება ერთ-ერთ დიდ პრობლემას წარმოადგენს, რადგან მეცხვარეებს არ აქვთ გამოსაზამთრებელი ბინები და საკმარისი საკვები. ზემოთ აღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, სამივე სამიზნე მხარეში იკარგება მეცხვარეობის ტრადიცია. თოხლის ფასი დაახლოებით 150-200 ლ-მდე მერყეობს, რეალიზაცია ხდება ადგილიდან გადამყიდველებზე ან ადგილობრივ ბაზარზე ცოცხლად. ხარისხიდან გამომდინარე პროდუქტზე მოთხოვნა მაღალია, ასევე გაიზარდა საექსპორტო ქვეყნების ჩამონათვალი: აზერბაიჯანი, ლიბანი, ლიბია, საუდის არაბეთი, გაერთიანებული სამეორეები, ირანი, ერაყი და იორდანია.

მუსულმანურ სამყაროში ქართული ცხვრის მიმართ მზარდი ინტერესი არაბული ავასის ჯიშის ცხვართან მსგავსებამ გამოიწვია. თუშური ცხვრის ფასი ავასის ფასზე ნაკლებია და, თანაც, ქართული ცხვრის ოპტიმალური წონა საშუალოდ 30 კგ-ს შეადგენს, რაც ერთი ოჯახისათვის სრულიად საკმარისია და ეკონომიის თვალსაზრისითაც მომგებიანია.

მატყლის წარმოება

ISET-ის მიერ გაკეთებული „ქართული ცხვრის სექტორის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის თანახმად, მეცხვარეებს მატყლის და ყველის წარმოების მოცულობის გაზრდა დიდ სარგებელს მოუტანს. ცხვრის გაკრეჭვა ხდება გაზაფხულსა და შემოდგომაზე, როცა ცხვარი მთაშია. დღესდღეობით მატყლის წარმოებიდან მიღებული თანხები მეცხვარეების მთლიანი შემოსავლის მხოლოდ 1% შეადგენს. მატყლის ექსპორტი თურქეთში უკრაინასა და აზერბაიჯანში ხორციელდება. 1 კგ გაურეცხავი მატყლის ფასი ოცდაათიდან ორმოცდაათ ცენტამდე მერყეობს, გარეცხილის ღირებულება კი ორ დოლარსა და ოც ცენტსაც აღწევს. დაბალი ფასის გამო, ზოგჯერ მეცხვარეებს მატყლის შეგროვების ინტერესი არ აქვთ და არ უღირთ მატყლის ბარში ჩამოტანა.

რძის წარმოება

რეგიონში ცხვარს არ წველიან, მიზეზად მუშახელის არარსებობა სახელდება. ცხვრის რძისაგან წარმოებული პროდუქტები საკმაოდ მოთხოვნადია.

მეფუტკრეობის საწარმოო ჯაჭვის ანალიზი

სტატისტიკური მონაცემებით, ქვეყანაში დაბალია ფუტკრის პროდუქტიულობა. უკანასკნელ წლებში ეს მაჩვენებლები არ უმჯობესდება, პირიქით, საშუალო წლიური შემოსავლი თანდათან მცირდება. მიუხედავად ამისა, სამივე სამიზნე მხარეში მეფუტკრეობა ერთ-ერთი შემოსავლიანი დარგია - ფერმერები აწარმოებენ ფუტკრის პროდუქტებიდან მხოლოდ თაფლს, რომლის დიდი ნაწილის რეალიზაცია ხდება ადგილიდან. მოსახლეობას ძირითადად ჰყავს 3-დან 50-მდე ფუტკრის ოჯახი. ვხვდებით ძირითადად სტაციონალურ საფუტკრეებს, თაფლის ამოღება ხდება ივლისი-აგვისტოს პერიოდში. საწარმოო ჯაჭვში ძირითად პრობლემას წარმოადგენს მოძველებული დაბალპროდუქტიული სკები და აღჭურვილობა, რომლითაც ხდება თაფლის დაწურვა, დამუშავება და შენახვა. იქიდან გამომდინარე, რომ სამივე სამიზნე მხარეში არ არიან მსხვილი მეფუტკრეები, ფუტკრის მოვლა-პატრონობას არ სჭირდება დამატებითი მუშახელი. ერთი სკის ღირებულება ოჯახით აქ 300 ლარია, საჭირო მედიკამენტების ღირებულება 1 ოჯახზე შეადგენს საშუალოდ 12 ლარს წლიურად, დამატებითი გამოკვება, რომელიც ხორცილედება გაზაფხულსა და შემოდგომაზე, ძირითადად კანდითა და შაქრის სიროფით, ერთ ოჯახზე 15 ლარი ჯდება. ასევე ყოველწლიურად ხდება ხელოვნური ფიჭების ჩანაცვლება, რომლის ღირებულება 10 ლარია. ეს ის ძირითადი ხარჯებია, რომელიც ყოველწლიურად აქვთ მეფუტკრეებს. საჭირო ინვენტარსა და მედიკამენტებს ისინი თბილისის ბაზარზე იძენენ.

სოფელ მადაროსკარში არის ერთი თაფლის გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც მიმდინარე ეტაპზე არ ფუნქციონირებს არასწორი მენეჯმენტის გამო.

პროდუქტიულობა

სამივე სამიზნე მხარეში ძირითადად ჰყავთ კავკასიური რუხი ფუტკარი, რომლის პროდუქტიულობა ერთ სკაზე შეადგენს საშუალოდ 8-10 კგ-ს. დაბალპროდუქტიულობას განაპირობებს როგორც კლიმატური პირობები, ასევე ფერმერების გამოცდილება დარგში.

პროდუქციის ფასები

თაფლის სარელიზაციო ფასი 20-25 ლარია/1კგ, ხოლო მისი თვითღირებულება 5-დან 7ლ-მდე მერყეობს, რაც სხვა რეგიონებთან შედარებით საკმაოდ მაღალია.

წარმოებისათვის საჭირო რესურსები

იმისათვის, რომ ფერმერებმა გაზარდონ პროდუქტიულობა და ხარისხი, აუცილებელია: თანამედროვე სკები, რომელიც იქნება 10-ჩარჩოიანი, სავენტილაციო ძირით, მოსახსნელი მისაფრენით და დათბუნებული სახურავით; უქანგავი ლითონის თაფლის გამოსაწური ციბრუტი, ფიჭის ასათლელი დანები და თაფლის შესანახი რეზერვუარები. მსხვილი ფერმერებისთვის საჭიროა, ასევე, თაფლის ჰომოგენიზატორი და ჩამოსასხმელი დანადგარი.

მედიკამენტები. ფუტკრის სამკურნალოდ ძირითადად გამოიყენება არაეფექტური პრეპარატები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ თაფლის ხარისხზე, ასევე იწვევენ ფუტკრის ოჯახის სიკვდილიანობას. მედიკამენტების შემენა ხდება თბილისის ვეტ-აფთიაქებში.

დედა ფუტკრის წარმოება. სამივე სამიზნე მხარეში არ ხდება დედა ფუტკრების წარმოება, შესაბამისად არ ხდება ფუტკრის ოჯახში დედა ფუტკრების ცვლა, რაც იწვევს ოჯახის დასუსტებას და დაბალპროდუქტიულობას.

კონკურენცია

როგორც მწარმოებლები და გამყიდველები, ისე მომხმარებლები ცალსახად აღიარებენ ადგილობრივი თაფლის ხარისხის უპირატესობას სხვა რეგიონებთან შედარებით.

მეთევზეობის საწარმოო ჯაჭვის ანალიზი

რეგიონში მეთევზეობა არაა განვითარებული, რის მიზეზადაც მოსახლეობა დარგობრივი ცოდნის დეფიციტს და ფინანსების ხელმიუწვდომლობას ასახელებს. გუდამაყარში არის ერთი მცირე საკალმახე მეურნეობა, რომელიც დღეს უფუნქციოა - არასწორი მენეჯმენტისა და მარკეტინგული სტრატეგიის უქონლობის გამო, საკალმახე ვერ განვითარდა და ვერ იმუშავა.

ცოდნა. მეთევზეობა სამივე სამიზნე მხარისათვის არატრადიციული დარგია, ამიტომ მოსახლეობას არ აქვს საჭირო ცოდნა და გამოცდილება. ბუნებრივი რესურსების (წყლის რესურსების სიჭარბე და ადგილმდებარეობა) გათვალისწინებით, სათანადო თეორიული და პრაქტიკული სწავლებით (ტრენინგები, კონსულტაციები, გაცვლითი ვიზიტები და სხვა) შესაძლებელია დარგის განვითარება.

პროდუქტიულობა

სამივე სამიზნე მხარეში შესაძლებელია მოეწყოს სადემონსტრაციო მოდელი ტბორების სახით, სადაც შესაძლებელი იქნება მთელი წლის განმავლობაში სქელშუბლასა და სარკისებური კობრის წარმოება. ასევე, შესაძლებელია ისეთი საკალმახე მეურნეობის მოწყობა, სადაც სეზონურად 2-3 ტ-მდე თევზის წარმოება იქნება შესაძლებელი.

პროდუქციის ფასები

ადგილიდან კალმახის სარეალიზაციო ფასი 10-12 ლ-მდეა.

წარმოებისათვის საჭირო რესურსები

იმისათვის რომ სამივე სამიზნე მხარეში განვითარდეს მეთევზეობა, საჭიროა საკალმახე და სატბორე მეურნეობებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა, მარკეტინგული ჯაჭვისა და დისტრიბუციის აწყობა.

რეალიზაცია. სამივე სამიზნე მხარის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მწარმოებლებს რეალიზაციის პრობლემა არ შეექმნებათ, რადგან თევზის პროდუქტებზე მოთხოვნა საკმაოდ დიდია. ძირითადი მომხმარებლები იქნებიან ადგილებზე არსებული საოჯახო სასტუმროები და რეგიონში არსებული რესტორნები.

რეკომენდაციები

რეკომენდაციები შემუშავებულია თითოეული სამიზნე მხარისათვის ცალ-ცალკე და იგი ეყრდნობა კვლევის შედეგების ანალიზს.

გუდამყარი

მეფუტკრეობა

გუდამყარში მეფუტკრეობის დარგის განვითარებისთვის პირველ ეტაპზე საჭიროა:

- ✓ ფუტკრის მაღალპროდუქტიული სკები;
- ✓ თაფლის გამოსაწერი თანამედროვე ციბრუტი;
- ✓ თაფლის შესანახი რეზერვუარები (სურსათთან შეხებაში ნებადართული);
- ✓ მცირე სამუშაო ინვენტარი (ასტამი, ფიჭის ასათლელი დანა, საბოლბელი და კომბინიზონი);
- ✓ დარგობრივი ტრენინგები და სასწავლო ვიზიტები.

ჩამოთვლილი აქტივობები ხელს შეუწყობს მეფუტკრეობის დარგის განვითარებას და საშუალებას მისცემს მცირე მეფუტკრეებს გაზარდონ წარმოება და შემოსავლები.

მეცხოველეობა

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, გუდამყარში პირველადი წარმოების განვითარებისთვის საჭიროა:

- ✓ საქონლის რაოდენობის გაზრდა (მეხორცული და მერძეული), ისე, რომ შესაძლებელი იყოს ნამატი პროდუქციის წარმოება;
- ✓ თივის წარმოებისათვის მცირე მექანიზაციის (სათიბელა მოტობლოკები) გამოყენების პრაქტიკის დანერგვა;
- ✓ ხარისხიანი თივის წარმოების პრაქტიკის დანერგვა, რაც გულისხმობს თივის დამზადებას კონკრეტულ ვადებში და მის სწორ შენახვას;
- ✓ დარგობრივი ტრენინგები და სასწავლო ვიზიტები.

ზემოთ აღნიშნული აქტივობები საშუალებას მისცემს მცირე ფერმერებს გაზარდონ პირველადი წარმოება და აიმაღლონ ცნობიერება, რაც გუდამყარში საოჯახო ტიპის რძის გადამამუშავებელი მცირე საწარმოების შექმნის წინაპირობაა.

მეთევზეობა

- შესაძლებელია მოეწყოს მცირე სადემონსტრაციო საკალმახე, რომელიც სეზონურად იმუშავებს და მოამარაგებს რესტორნებსა და საოჯახო სასტუმროებს დაბა ფასანაურში;
- დარგობრივი ტრენინგები და გასვლითი ვიზიტები.

ხევისურეთი

მეფუტკრეობა

ხევისურეთში მეფუტკრეობის დარგის განვითარებისთვის საჭიროა:

- ფუტკრის მაღალპროდუქტიული სკები;
- თაფლის გამოსაწური თანამედროვე ელექტრო ციბრუტი;
- თაფლის შესანახი რეზერვუარები (სურსათთან შეხებაში ნებადართული);
- მცირე სამუშაო ინვენტარი (ასტამი, ფიჭის ასათლელი დანა, საბოლბელი და კომბინიზონი);
- მცირე სადემონსტრაციო საფუტკრისა და საწარმოს მოწყობა ბიოსტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით. საფუტკრეში იქნება განთავსებული სხვადასხვა მოდიფიკაციის თანამედროვე სკები, რაც საშუალებას მისცემს ადგილობრივ მეფუტკრეებს დაინახონ მათი უპირატესობა;
- მოწყოს თაფლის გადასამუშავებელი მცირე საწარმო ბიოსტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, სადაც განთავსდება ელექტრო ციბრუტი (თაფლის საწური), ფიჭის ასათლელი დანადგარი, ფილტრატორი და თაფლის ჩამოსასხმელი მცირე დოზატორი. საწარმო დააკმაყოფილებს სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს და შექმნის საბოლოო პროდუქტს (ქილაში ჩამოსხმული, ეტიკეტირებული თაფლი). საწარმომ მომსახურება უნდა გაუწიოს ადგილობრივ მეფუტკრეებსაც;
- მეფუტკრეებს ჩაუტარდეს შესაბამისი ტრენინგურსი, რათა შეძლონ გადაცემული აღჭურვილობის სწორად გამოყენება; ასევე ჩაუტარდეს დარგობრივი ტრენინგები და გასვლითი ვიზიტები.

ზემოთ აღნიშნული ქმედებები ხელს შეუწყობს ხევისურეთში თაფლის რაოდენობის გაზრდას და ხარისხის გაუმჯობესებას, რაც გაზრდის მეფუტკრეების შემოსავალს.

მეცხოველეობა

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია:

- თივის წარმოებისათვის მცირე მექანიზაციის (სათიბელა მოტობლოკები) გამოყენების პრაქტიკის დანერგვა;
- ხარისხიანი თივის წარმოების პრაქტიკის დანერგვა, რაც გულისხმობს თივის დამზადებას კონკრეტულ ვადებში და მის სწორ შენახვას;
- ფერმის საწველი აპარატით აღჭურვა, რაც შეამცირებს დროის დანახარჯს და დაცული იქნება წარმოებული რძის ჰიგიენა;
- რძის გადამამუშავებელი სამოდელო მცირე საწარმოს მოწყობა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს. დღევანდელი კანონმდებლობის მიხედვით, ცხოველური წარმოების პროდუქტის დამამზადებელი საწარმო უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ რეგლამენტს – „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებულ წესს“, რათა წარმოებული პროდუქტის უვნებლობა იქნეს დაცული. აღნიშნული რეგლამენტი ეხება ტრადიციულ წარმოებას და მაღალმთიან რეგიონში არსებულ საწარმოებს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია

ერთ ოთახში მოხდეს რძის მიღებაც და გადამუშავებაც. საწარმოო სივრცე უნდა იძლეოდეს დასუფთავების საშუალებას, აღჭურვილი უნდა იყოს ცივი და ცხელი წყლით, საკანალიზაციო სისტემით და შემდეგი მინიმალური დანადგარებით: სეპერატორი, ყველის ფორმები, ყველის სახარში ავზები, ყველის აბაზანები, ტარის სამრეცხაო, სამუშაო მაგიდა და სხვ. ამ მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, მწარმოებელი მოიპოვებს აღიარებას და შეძლებს წარმოებული პროდუქტის ბაზარზე განთავსებას. მსგავსი ტიპის საწარმო კარგი პრაქტიკა იქნება რეგიონისთვის;

- მცირე რძის გადამამუშავებელი საოჯახო საწარმოებისათვის საჭირო აღჭურვილობა: სეპერატორი, ყველის ფორმები, ყველის სახარში ავზები, ყველის აბაზანები, ტარის სამრეცხაო, სამუშაო მაგიდა;
- დარგობრივი ტრენინგები (მესაქონლეობა და სურსათის უვნებლობა) და სასწავლო ვიზიტები.

მეთევზეობა

- ხევსურეთის მაღალმთიან ზონაში, კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ვერ განვითარდება მეთევზეობა;
- ხევსურეთის ქვედა სოფლებში შესაძლებელია მოეწყოს სადემონსტრაციო მოდელი - მცირე ტბორების სახით, სადაც შესაძლებელი იქნება მთელი წლის განმავლობაში სქელშუბლასა და სარკისებური კობრის წარმოება, რაც საშუალებას მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას შეისწავლონ სქელშუბლასა და სარკისებური კობრის წარმოების მეთოდები. ხევსურეთში მრავლად არის საოჯახო სასტუმროები, სადაც მოხდება თევზის რეალიზაცია.

ფშავი

მეფუტკრეობა

ფშავში მეფუტკრეობის დარგის განვითარებისთვის საჭიროა:

- ფუტკრის რძისა და დედების წარმოება, რისთვისაც აუცილებელია რძისა და დედების საწარმოებელი წოლელა სკები, ფუმფლის სამყნობი ფითხები, სადედე ჯამები, სადედე გალიები, მინინუკლეოსები, განიმანის ბადე, რძის რეზერვუარები და მაცივარი;
- ფუტკრის ყვავილის მტკვრის წარმოება, რისთვისაც აუცილებელია ყვავილის მტკვრის დამჭერები და საშრობი;
- ფუტკრის შხამის წარმოება, რისთვისაც აუცილებელია შხამის ასაღები კასეტები, ბლოკ აპარატი;
- ფუტკრის თანამედროვე მაღალპროდუქტიული სკები;
- თაფლის შესანახი რეზერვუარები (სურსათთან შეხებაში ნებადართული);
- მცირე სამუშაო ინვენტარი (ასტამი, ფიჭის ასათლელი დანა, საბოლბელო და კომბინიზონი);

- მცირე სადემონსტრაციო საფუტკრის მოწყობა ბიოსტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- თაფლის გადასამუშავებელი მცირე საწარმოს მოწყობა ბიოსტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, სადაც განთავსდება ელექტრო ციბრუტი (თაფლის საწური), ფიჭის ასათლელი დანადგარი, ფილტრატორი და თაფლის ჩამოსასხმელი მცირე დოზატორი. საწარმო დააკმაყოფილებს სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს და შექმნის საბოლოო პროდუქტს (ქილაში ჩამოსხმული, ეტიკეტირებული თაფლი). საწარმომ მომსახურება უნდა გაუწიოს ადგილობრივ მეფუტკრეებს;
- მეფუტკრეებს ჩაუტარდეს შესაბამისი ტრენინგურსი, რათა შეძლონ გადაცემული აღჭურვილობის სწორად გამოყენება; ასევე ჩაუტარდეს დარგობრივი ტრენინგები და გასვლითი ვიზიტები.

მეცხოველეობა

- თივის წარმოებისათვის მცირე მექანიზაციის (სათიბელა მოტობლოკები) გამოყენების პრაქტიკის დანერგვა;
- ხარისხიანი თივის წარმოების პრაქტიკის დანერგვა, რაც გულისხმობს თივის დამზადებას კონკრეტულ ვადებში და მის სწორ შენახვას;
- ფერმის საწველი აპარატით აღჭურვა, რაც შეამცირებს დროის დანახარჯს და დაცული იქნება წარმოებული რძის ჰიგიენა;
- სადემონსტრაციო ფერმის მოწყობა ბიოსტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც სრულად იქნება აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით, როგორცაა: საწველი აპარატი, სარწყურებლები, ხელოვნური განაყოფიერების დანერგვა ჯიშთა გაუმჯობესებისთვის, საკვები რაციონის გამრავალფეროვნება (კომბინირებული საკვები);
- ფშავში არსებულ მცირე რძის გადამამუშავებელ საწარმოებში სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დანერგვა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ რეგლამენტს – „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამართივებულ წესს“, რათა წარმოებული პროდუქტის უვნებლობა იქნეს დაცული. აღნიშნული რეგლამენტი ეხება ტრადიციულ წარმოებას და მაღალმთიან რეგიონში არსებულ საწარმოებს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ერთ ოთახში მოხდეს რძის მიღება და გადამამუშავებაც. საწარმოო სივრცე უნდა იძლეოდეს დასუფთავების საშუალებას, აღჭურვილი უნდა იყოს ცივი და ცხელი წყლით, საკანალიზაციო სისტემით;
- რძის გადამამუშავებელი საოჯახო მცირე საწარმოებისათვის საჭირო აღჭურვილობა: სეპერატორი, ყველის ფორმები, ყველის სახარში ავზები, ყველის აბაზანები, ტარის სამრეცხაო, სამუშაო მაგიდა;
- ქვედა ფშავში ვეტერინარული მომსახურების ცენტრის მოწყობა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა შეძლებს ვეტერინარული პრეპარატების შეძენასაც;
- დარგობრივი ტრენინგები და გასვლითი ვიზიტები.

მეთევზეობა

ქვედა ფშავში კლიმატური პირობები იძლევა სამოდულო საკალმახე მეურნეობის მოწყობის საშუალებას, რომელიც საშუალებას მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას გაეცნოს კალმახის წარმოების თავისებურებებს, რათა გაიღრმავონ ცოდნა და შეძლონ საკუთარი სათევზე

მეურნეობის მოწყობა. ტურისტული პოტენციალიდან გამომდინარე, თევზზე მოთხოვნა დიდია, წარმოებული თევზს შეიძენენ ადგილობრივი საოჯახო სასტუმროები.

დამატებითი რეკომენდაციები

- სამივე სამიზნე მხარეში არსებული რესურსების გამოყენებით შესაძლებელია ბიოგაზის დანადგარის მოწყობა, რომელსაც ექნება მრავალფუნქციური დატვირთვა: ნაკელისა და ორგანული ნარჩენების გადამუშავების შედეგად მიღებული გაზი გამოყენებული იქნება ოჯახებში დამატებითი ენერჯის წყაროდ, ხოლო გადამწვარი ნაკელი (საბოლოო პროდუქტი) გამოიყენება ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისათვის;
- ტრენინგები - ორგანული სოფლის მეურნეობის ზოგადი პრინციპები;
- კონსულტაციები და ტრენინგი: მუშაობა დაცული გეოგრაფიული აღნიშვნების პროდუქტებზე - მწარმოებელთა ტრენინგი, სპეციფიკაციების განახლება, შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა, სერტიფიცირება და მარკეტინგი (მაგ. დამბალხაჭო).

დანართები

დანართი 1. კითხვარი

კითხვარი

1. შევსების თარიღი/ადგილი

შევსების თარიღი	საკრებულო	სოფელი

2. გამოკითხული ბენეფიციარის მონაცემები:

სახელი, გვარი	ასაკი	საკონტაქტო ტელეფონი	განათლება	მაცხოვრებელი	
				მუდმივი	სეზონური
				<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3. ბენეფიციარის ოჯახის შემადგენლობა/გამოცდილება

ოჯახის წევრის სახელი და გვარი	ასაკი	განათლება	გამოცდილება სოფლის მეურნეობაში	მაცხოვრებელი	
				მუდმივი	სეზონური

4. ოჯახის შემოსავლები

შემოსავლის წყარო	საშუალო წლიური შემოსავალი
საჯარო მომსახურებიდან	
ბიზნესიდან	
სოფლის მეურნეობიდან	
სოც დახმარება და/ან პენსია	
გზავნილები	
სხვა	
სულ	

5. რა სასოფლო-სამეურნეო რესურსი გააჩნიათ?

რესურსის დასახელება	ჩამონათვალი, რაოდენობა
სახნავ-სათესი (ჰა)	
სათიბ-საძოვარი(ჰა)	
ს/ს ტექნიკა	
სასოფლო სამეურნეო ინვენტარი	
დამხმარე ნაგებობები	
სხვა	
სხვა	
სხვა	
სხვა	

6. მეურნეობაში არსებული ჯიშები, რაოდენობა, პროდუქტიულობა :

სასოფლო-სამეურნეო დარგი	რაოდენობა, ჯიში	პირველადი ნედლეულის რაოდენობა(წელი)	სარეალიზაციო პროდუქტები, რაოდენობა	საშუალო წლიური შემოსავალი (ლარი)
მერძეული მესაქონლეობა				
მეხორცული მესაქონლეობა				
მეცხვარეობა				
მეფუტკრეობა				
მეთევზეობა				
სხვა				

გთხოვთ მიუთითოთ რა საკვებს იყენებთ მეურნეობაში და რა პერიოდულობით?

7. რა სასოფლო-სამეურნეო მომსახურეობა/საშუალებები არის ხელმისაწვდომი რეგიონში ?

სასუქები	<input type="checkbox"/>	სათესლე მასალა	<input type="checkbox"/>
მცენარეთა დაცვის საშუალებები	<input type="checkbox"/>	სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა	<input type="checkbox"/>
სასოფლო-სამეურნეო კონსულტაციები	<input type="checkbox"/>	ვეტერინარული პრეპარატები	<input type="checkbox"/>
ვეტერინარული მომსახურეობა	<input type="checkbox"/>	სასაკლავო	<input type="checkbox"/>
სხვა _____	<input type="checkbox"/>	სხვა _____	<input type="checkbox"/>

8. ღირებულებათა ჯაჭვში ჩართული საშუალებები და მომსახურეობა:

ჩამონათვალი	ხელმისაწვდომობა	კომენტარები
ს/ს საბრუნავი საშუალებების მიმწოდებლები		
ვეტერინარული მომსახურება		
ს/ს ტექნიკით მომსახურება		
კოოპერატივები		
შემსყიდველები, გადამამუშავებლები და დისტრიბუტორები		
ექსტენციის სამსახური, საკონსულტაციო მომსახურება		
ფინანსური მომსახურება		
პროგრამები და პროექტები		

9. ბაზრების ხელმისაწვდომობა (რომელ სასოფლო-სამეურნეო ბაზრებზე ახორციელებთ თქვენი პროდუქციის რეალიზაციას?)

ადგილობრივი/რეგიონალური	ქვეყნის/საექსპორტო	შუა რგოლი (გადამყიდველი)

10. აწვდით თუ არა თქვენს მიერ მოწეულ/მიღებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას ადგილობრივ სასტუმროებს? ტურისტულ სახლებს? რესტორნებს?

კი

არა

თუ არა - რა არის ამის მიზეზი?

11. რა სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურით არის უზრუნველყოფილი თქვენი რეგიონი?

სარწყავი

ელექტროენერჯია

ცენტრალური გზა

ბუნებრივი აირი

ს/ს ნაკვეთებთან მიმავალი გზა

ს/ს პროდუქციის ჩამბარებელი პუნქტი

სასაკლავო _____ სხვა _____

კომენტარი _____

12. რომელ სასოფლო-სამეურნეო დარგის განვითარებას ისურვებით დაფინანსების მიღების შემთხვევაში და რა რესურსები გჭირდებათ ამისათვის:

დარგის დასახელება	რესურსის ჩამონათვალი	წარმოებული პროდუქტი
მერძეული მესაქონლეობა		
მეხორცეული მესაქონლეობა		
მეცხვარეობა		
მეფუტკრეობა		
მეთევზეობა		

13. სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები:

ხელის შეშლელი ფაქტორი	რა ნეგატიურ გავლენას ახდენს?
სარწყავის არარსებობა	
გზის არარსებობა	
ელექტროენერჯის არარსებობა	
ბუნებრივი აირის არარსებობა	
ფინანსების არარსებობა	
ცოდნის/ინფორმაციის არარსებობა	
პროდუქციის რეალიზაციის	
სხვა	
სხვა	

14. რა საშუალებებს (ვეტ. პრეპარატები, მცენარეთა დაცვის საშუალებები, სასუქები) იყენებთ თქვენს მეურნეობაში და სად ხდება მათი შეძენა?

დასახელება	გამოყენებული საშუალებები	შეძენის ადგილი
სახნავ-სათესი		
სათიბ-სამოვარი		
მესაქონლეობა		
მეცხვარეობა		
მეფუტკრეობა		
მეთევზეობა		

15. გსმენიათ თუ არა ბიო/ორგანული სოფლის მეურნეობის შესახებ?

კი არა

თუ კი, გთხოვთ მიუთითოთ რა მეთოდებს იყენებთ და ხართ თუ არა დაინტერესებული ორგანულის სოფლის მეურნეობით?

16. ხდება თუ არა შრომის განაწილება სოფლის მეურნეობის საქმიანობის განხორციელების პროცესში ქალებსა და მამაკაცებს შორის?

 კი არა

თუ კი - რომელ საქმიანობას ასრულებენ მამაკაცები და რომელს ქალები?

მამაკაცები	ქალები

17. არის თუ არა თქვენს სოფელში ისეთი პიროვნებები, რომლებიც უფრო აქტიურად არიან ჩართულები სოფლის პრობლემების მოგვარებაში და რომლებიც სარგებლობენ სოფელში ავტორიტეტით? დაასახელეთ..

სახელი, გვარი	საკონტაქტო ინფორმაცია

18. რამდენი მოქმედი სასტუმრო/სასტუმრო სახლი არის თქვენს სოფელში და თუ არ არის - რა არის ამის მიზეზი? _____

19. გაქვთ თუ არა სამეწარმეო სტატუსი?

სამეწარმეო სტატუსი	
იურიდიული პირი	
ფიზიკური პირი	

20. თქვენი ფულადი თანამონაწილეობა პროექტში

გთხოვთ მიუთითოთ თქვენი თანამონაწილეობა პროექტის განხორციელების შემთხვევაში (ლარი)_____

დანართი 2. გამოკითხულთა სია

გუდამაყარი

#	სახელი, გვარი	ასაკი	მაცხოვრებელი		სოფელი	საკრებულო	მეცხოველეობა		მეცხვარეობა	მეფუტკრეობა	მეთევზეობა
			მუდმივი	სეზონური			მერძეული	მეხორცული			
1	ეთერ ბექაური	59	1	0	ზანდუკი	გუდამაყარი	6	2			
2	თეონა წიკლაური	37	0	1	ზანდუკი	გუდამაყარი	10				
3	ვალერიან ბექაური	70	1	0	გამსი	გუდამაყარი	20				
4	მალხაზ წიკლაური	53	1	0	ჩოხი	გუდამაყარი		3	40		
5	გოჩა ბექაური	38	1	0	გამსი	გუდამაყარი	5	10	7	4	
6	ნაზი ბექაური	53	1	0	გამსი	გუდამაყარი	5	8	300		
7	ნოდარ წიკლაური	68	1	0	კიტოხი	გუდამაყარი	3				

ფშავი

#	სახელი, გვარი	ასაკი	მაცხოვრებელი		სოფელი	საკრებულო	მეცხოველეობა		მეცხვარეობა	მეფუტკრეობა
			მუდმივი	სეზონური			მერძეული	მეხორცეული		
1	ნიკო მადურაშვილი	80	X		უძილაურთა	შუაფხო	3			4
2	სომელჯი თვარელაშვილი	53	X		შუაფხო	უკანაფშავი				40
3	მარეხი უძილაური	37	X		თხილიანა	შუაფხო	4	5		
4	გოდერძი ქოჩიაშვილი	55	X		შუაფხო	უკანაფშავი	6	2		55
5	იოსებ ჯამანიშვილი	77	X		შუაფხო	შუაფხო				2
6	ლელა წოწკოლაური	31	X		თხილიანა	შუაფხო	3	2		4
7	ზურაბ ოჩიაური	54	X		შუაფხო	უკანაფშავი				3
8	სპირიდონ გედეხაური	71	x		შუაფხო	უკანაფშავი				20
9	ვახტანგ ჩიტოშვილი	75		X	თხილიანა	უკანაფშავი	2	2	1	10
10	თეკლე ბადრიშვილი	91	X		შუაფხო	ფშავი				2
11	თამარ ჩოხელი	60	X		შუაფხო	უკანაფშავი	8	1		20
12	მართა ჯამანიშვილი	49	X		შუაფხო	უკანაფშავი				3
13	ნანული მჭედლური	57	X		შუაფხო	უკანაფშავი				3
14	ჯუანშერ იარაჯული	42	X		შუაფხო	უკანაფშავი	5			5
15	ნათელა ლომნიაშვილი	62	X		შუაფხო	უკანაფშავი	5			4

16	ფიქრია წელაური	40	X		ვაკისსოფელი	უკანაფშავი	2	4		150
17	ტარიელ ცოლიკაური	77		X						20
18	ქეთევან ჭინჭარაული	24		X	ვაკისსოფელი	უკანაფშავი				15
19	ვაზიკა ჯაბანიშვილი	21	X		ჭიდალი	უკანაფშავი	13	12	10	80
20	მერედი ჯაბანიშვილი	58	X		ვაკისსოფელი	უკანაფშავი				
21	მარინა რაზიკაშვილი	62	X		ჩარგალი	მადაროსკარი				8
22	გოჩა რაზიკაშვილი	53	X		ჩარგალი	მადაროსკარი				80
23	ლექსო ხადიაშვილი	27	X		ჩარგალი	მადაროსკარი	6			
24	ნიკა გარსევანიშვილი	30	X		ჩარგალი	მადაროსკარი	13	7		10
25	გულსუნდა თურმანაული	48	X		მადაროსკარი	მადაროსკარი	4	2		
26	ლალი გაბნიაშვილი	49	X		ხილიანა	მადაროსკარი	2			50
27	სალომე კაკაბრიშვილი	48		X	მადაროსკარი	მადაროსკარი				10
28	ვასილ ნაყეური	49	X		ქალილო	მადაროსკარი	2			
29	ნანა ბადრიაშვილი				ქალილო	მადაროსკარი				
30	მაია სუპრიშვილი				ქალილო	მადაროსკარი				

ხეცსურეთი

#	სახელი, გვარი	ასაკი	მაცხოვრებელი		სოფელი	საკრებულო	მეცხოველეობა		მეცხოვარეობა	მეფუტკრეობა
			მუდმივი	სეზონური			მერძეული	მეხორცული		
1	ნოდარ არაბული	54	1	0	წინხადო	ბარისახო		60		
2	იალნო არაბული	41	1	0	კორმა	ბარისახო	15			10
3	თომა არაბული	62	1	0	ბარისახო	ბარისახო	2	3		
4	ზურაბ ჭინჭარაული	38	1	0	გუდან	ბარისახო				
5	დათო ლიქოკელი	48	1	0	ქალისოფელი	ბარისახო	25			15
6	ნათელა ლიქოკელი	40	1	0	ბარისახო	ბარისახო	4	8		
7	დათვია ლიქოკელი	48	1	0	ქობულო	ბარისახო	5	7		
8	ტრისტან არაბული	58	1	0	ბარისახო	ბარისახო	4			
9	შოთა არაბული	61	1	0	კორმა	ბარისახო				
10	გოდერძი ჭინჭარაულ	46	1	0	გუდან	ბარისახო	3	3		
11	დავით ჭინჭარაული	28	1	0	გუდან	ბარისახო				6
12	ლეილა აბრამიშვილი	56	1	0	გუდან	ბარისახო	4			
13	გიორგი ჭინჭარაული	61	1	0	გუდან	ბარისახო	2			30
14	ალუდა ალუდაური	44	0	1	ხახმატი	ბარისახო	20			15

15	შოთა ალუდაური	56	1	0	ხახმატი	ბარისახო				
16	შალვა ქეთელაური	65	0	1	ბოსო	ბარისახო		34		
17	ზადა ალუდაური	46	0	1	ხახმატი	ბარისახო	6			
18	ალუდა ალუდაური	43	0	1	ხახმატი	ბარისახო				30
19	მარინე გიგაური	52	1	0	კორმა	ბარისახო	5	5		20
20	გრიშა არაბული	59	1	0	კორმა	ბარისახო				12
21	ბერდია არაბული	31	1	0	კორმა	ბარისახო	3			
22	გურამ არაბული	53	1	0	დათვისი	ბარისახო	10	15		5
23	მზექალა არაბული	40	1	0	ბარისახო	ბარისახო	4			

დანართი 3. გუდამაყრის სოფლების შესახებ ინფორმაცია

	სოფლები	გვარები	მოსახლეობის რაოდენობა (234 პირი)	ნასოფლარები
1	ბახანი	ქავთარაძე, პატაშური, წიკლაური (ჩობალაური).	10	ათნოხი, ქერაჩი, მაზიტანი, ზემო კიტოხი, ლიდელი, ჩობალაური, ზემო ჩოხი, ჭოჭოხი, ბურსაჭირი
2	დიხჩო	წიკლაური (თლოშიაური).	3	
3	ლუთხუბი	წიკლაური (თლოშიაური).	23	
4	წინამხარი	აფციაური	10	
5	მაქართა	წიკლაური (თლოშიაური).	40	
6	კიტოხი		25	
7	დიდებანი (გოგანაურთა)	ბექაური (დიდებანი).	9	
8	ზანდუკი	წიკლაური (თლოშიაური).	22	
9	გამსი	ბექაური (შარვანიანი, ბაჩომიანი, ობლიანნი, თამაზიანი, თურქიანი, ბაიანი)	20	
10	ჩოხი	ჩოხელი	17	
11	თორელაანი	აფციაური, წიკლაური (თამნიაური).	16	
12	ბოსელი	წიკლაური (ხარხელაური, ბუბუნაური).	2	

13	დუმაცხო	აფციაური, წიკლაური (ხარხელაური, ბუბუნაური).	10	
14	ჩობალაურნი	აფციაური, წიკლაური	2	
15	ფახვიჯი(ფხაეთი)	წიკლაური (იგრიაული).	3	
16	საჩალისჭალა	წიკლაური (იგრიაული).	1	
17	თოთიაურნი	ჩოხელი.	16	
18	სიჯანანი	წიკლაური (იგრიაული).	1	
19	საკერპო	ფიცხელაური	2	
20	ბაკურხევი	ფიცხელაური	2	

დანართი 4. უკანა ფშავისა და მაღაროსკარის თემების სოფლები და მოსახლეობა

უკანა ფშავის თემის სოფლები და მოსახლეობა

	უკანაფშავის სოფლები	მოსახლეობა (87 პირი)	კომენტარი
1	შუაფხო	35	ცხრა (ახადი,ჭიდალი, წითელაურთა, ქუთხი, მისრიანთკარი, ვანხევი, ელიაგზა, ბილალაურთა, არახიჯა) სოფელი დაცლილია
2	ახადი	0	
3	გოგოლაურთა	8	
4	მათურა	1	
5	მუქო	12	
6	უძილაურთა	15	
7	უკანაფშავი	9	
8	ცაბაურთა	1	
9	ჭიჩო	2	
10	ხოშარა	4	

მაღაროსკარის თემის სოფლები და მოსახლეობა

	მაღაროსკარის თემი	მოსახლეობა (531 პირი)	კომენტარი

1	აფშო	1	ოთხი (არბაჩხანი, საშევარდნო, ქალილო, ყოფჩა,)სოფელი დაცლილია
2	გომეწარი	68	
3	გუდარაზი	2	
4	ინო	1	
5	კანატია	18	
6	კაწალხევი	63	
7	ხილიანა	22	
8	კუჭეჭა	5	
9	მადაროსკარი	221	
10	მიგრიაულთა	8	
11	შარახევი	11	
12	ჩარგალი	69	
13	წიფნარი	24	
14	ხომი	18	

დანართი 5. ხევსურეთის სოფლების შესახებ ინფორმაცია

	ბარისხოს თემები	სოფლები (526 პირი)	მოსახლეობის რაოდენობა	
1	ბარისახო	ქვემო ბარისახო, ზემო ბარისახო, კორშა	სოფლების უმეტესობა დაცლილია	
2	გველეთი	მოწმარ, სახილე, დათვისი, გველეთი, აჭეხა		
3	ჩირდილი	ჩირდილი, ბუჩუკურთა, უაკანახო, ლიფოდა, უბანი, ოხერხევი;		
4	წყალსიქითი	ღელისვაკე, ქმოსტი, როშკა, ბლო		
5	გორშელმი	უკანხადუ, წინხადუ, ატაბე, ბაცალიგო, ჩხუბა, აყნელი, ზეისტეჩო;		
6	გუდანი	გუდანი, ღული, ჭიე, ბისო, ხახმატი, ჭორმეშავი, ზენუბანი;		526 კაცი (167 კომლი)
7	ლიქოკი	აკუშო, ჭალისოფელი, ქობულო, კეო, კარწაულთა, ბოგჩვილო;		